საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 18 თებერვალი. 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 15×2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. ნისია განცხადებები არ მიიღება. რედაქცია და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 4, შესასვლელი რუსთაველის ქუჩის მე-18-თან.

№ 38 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 38

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ბაბილინე ალექსანდრეს ასული, შვილები: იაგორ, ივანე, ვასილი, პეტრე, მაშა და ნატალია, რძალი ოლღა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი

ალმასხან ესეს ძე ურუშაძისას

დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, 18 თებერვალს ქალაქ ქუთაისში. (562 2—2)

მშობლები: გრიგოლ ლავრენტის ძე წერეთელი, ბაბო ქაიხოსროს ასული წერეთლისა, ბებია: ეფემია გარსევანის ასული წერეთლისა, მამიდები: ალექსანდრა და ცუცა, ბიძები: ვლადიმერ, ლავრენტი, კონსტანტინე და გრიშა ილარიონის ძენი წერეთლები, კოზმან ალექსის ძე აბაშიძე და ბართუსი დავითის ძე წერეთელი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ შაბათს 14 თებერვალს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი

ლავრენტი (გუგულა) გრიგოლის ძე წერეთელი

გამოსვენება სამშაბათს, 17 თებერვალს, საღამოს 4 საათ. თფილისის სადგურზე, ნიკოლოზის ქ. სახ. № 97. დაკრძალვა დ. საჩხერეში, მაცხ. ეკლესიის გალავანში, ხუთშაბათს, 19 თებერვალს დილის 12 საათ. (567—2—2)

შვილები განსვენებულის

ნინო გაბრიელის ასულის ივანიცკისა

აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ მის გარდაცვალების ნახევარი წლის თავზე, ოთხშაბათს, 18 თებერვალს, დილის 10 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. (ფ 2—2)

გორის მაზრის სოც. დემ. ორგანიზაციების ცენტრი აუწყებს ორგანიზაციებს და ამხანაგებს, რომ ხუთშაბათს, 19 თებერვალს, შუადღეზე დაუვიწყარ და ძვირფას ამხანაგის, ქართლის მშრომელ გლეხკაცობის მოამაგის

ნიკოლოზ კაციაშვილის

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო მის საფლავზე სოფ. ქვემო გომში (სადგ. კასპი) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. (ფუ 1—1)

გიორგი ადამის ძე კაციაშვილი თავისი დებით და დისწულებით მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობებს, რომ ხუთშაბათს, 19 თებერვალს სოფ. ქვემო გომში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი საქართველოს დამფუძნებელ კრების წევრის და რუსეთის მეორე სათათბიროს წევრის

ნიკოლოზ (კოლა) ადამის ძე კაციაშვილისა

(576 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ეკატერინე დავითის ასული, შვილები გრიგოლ, დათიკო და ბიქტორ, შვილიშვილი ვალიკო, რძლები აგრაფინა და თეოდორა, ძმა ქიშვარდი, რძალი ბაბილინე, ძმისშვილები ოლღა, კუკუნია და აკაკი მახარაძეები, ქალიშვილები ეგრაფინა გოგუნავასი, პატუ ვაშალომიძისა, მარო კვაშალისა, სიძეები ილიკო გოგუნავა და თევდორე კვაშალი. შვილისშვილები: ეფტიხი და ერიკო ვაშალომიძენი, კიტუტა კვაშალი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 15 თებერვალს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

მიხეილ საყვარელის ძე მახარაძე

რომლის გასვენება მოხდება თავის საკუთარ სახლიდან 19 თებერვალს დილით ხუთშაბათს 2 ს. ქ. ოზურგეთში. დაკრძალვენ ექადიის მწინდა გიორგის ეკლესიაზე. (575 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ეკა დავითის ასული, შვილები: გრიგოლ, დათიკო და ბიქტორ, რძლები: აგრაფინა და თეო მახარაძისა, სიძეები: ილიკო გოგუნავა და თევდორე კვაშალი, ძმა ქიშვარდი მეუღლითურთ, ძმის წულები: ოლია, კუკული და აკაკი მახარაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი

მიხეილ საყვარელის ძე მახარაძის

გარდაცვალებას, დაკრძალვა დანიშნულია ხუთშაბათს, 19 თებერვალს, დილით 2 საათზე ექადიის სას ფლაოზე. 577 1—1

„სურათები-
ზღაპრები"

დაიბეჭდა და იყიდება ახალი საყმაწვილო წიგნაკი № 6: მელაკუდა, ჭირი და მამლაყინწა; მახარა ჭრუწუნები; მელია და წერო.

ფასი 5 მანეთი.

ბითუმად მყიდველს დაეთმობა 20 პროც.

მისამართი: თფილისი, ყიფიანის ქ. № 17, ალ. ჯაფარიძე; ქუთაისი, ბალახვანი, მ. დუნდუას საქალო გიმნაზია. (578—1—1)

ექიმი ბ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—თ.).

ავადმყოფობის გამო

ვყიდი იაფად

პარტიით გამოხდილს კახურ ღვინოს და თხილს თავის ბათუმში გასატან ნებართვით. გაყიდვა ცალ-ცალკეც შეიძლება. მისამართი: ჩერქეზოვის ქ. პიდვალი № 99 (561—3—2)

ისევ ბათუმი

ამას წინათ გაზეთებში მოთავსებული იყო კონსტანტინეპოლის ინგლისურ გაზეთებიდან გადმოთარგმნილი წერილი ბათუმის საკითხის შესახებ. წერილი არც თავის სიღრმით არის შესანიშნავი, არც პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობის მხრივ. მაგრამ ჩვენთვის იგი მეტად საყურადღებოა, რადგან მასში აღნიშნულია რამდენიმე გარემოება, რომელიც ბათუმის საკითხის წესიერად გადაწყვეტას წინ ეღობება.

როგორც წერილიდან ჩანს, ბათუმის საკითხით ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკები არიან დაინტერესებულნი: აზერბეიჯანიც, სომხეთიც, საქართველოც. აზერბეიჯანის ინტერესები—ბათუმში დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ბათუმი არის „ბაქოს ნავთსადენის უკანასკნელი პუნქტი". სომხეთის პრეტენზიები ბათუმზე იმით აიხსნება, რომ იგი „უკანასკნელი პუნქტია სომხეთის რკინის გზისა, რომლის პროექტი უკვე შემუშავებულია". მარტო ეს გარემოებები აქვს აღნიშნული ინგლისურ გაზეთს. როგორც ეტყობა, საქმის ადგილობრივ ვითარებასთან იგი ვერ ყოფილა საკმაოდ გაცნობილი, რომ მხოლოდ ამ შედარებით მცირე მნიშვნელოვან გარემოებებით ხსნიდეს ამ ორი სახელმწიფოს პრეტენზიებს ბათუმზე. ჩვენ ვიცით, რომ ამ პრეტენზიების საბუთით სხვაც მოეპოვება ამ ორ სახელმწიფოს: საკმარისია თუნდაც ის გავიხსენოთ, რომ სომხეთი ეძებს შავ ზღვაში გასავალ პორტს და მისი ყურადღება ამ ძიებაში შეიძლება ბათუმზე შეჩერდეს; ან ის გარემოება, რომ ბათუმის ოლქი მუსულმანობით არის დასახლებული და ეს იზიდავს იქითკენ აზერბეიჯანის პანისლამისტურ წრეებს.

კიდევ უფრო ზერელედ აქვს წარმოდგენილი ინგლისურ გაზეთს ბათუმის მნიშვნელობა საქართველოსათვის. მისი აზრით, ეს მნიშვნელობა იმით განისაზღვრება, რომ „საქართველოსთვის იგი მიმზიდველია, როგორც კარგი პორტი, რადგან ქართული პორტი ფოთი მიუდგომელია ღელვის დროს". სხვა არაფერი! ინგლისის გაზეთს წარმოდგენაც არ ჰქონია იმ მრავალ შემაერთებელ ძაფებზე, რომლებიც ბათუმს და მის ოლქს საქართველოს ორგანიზმის ნაწილად ხდის.

მიუხედავად საქმის ვითარების უცოდინარობისა და იმ ზერელეობისა, რომელიც გამოიჩინა ინგლისის გაზეთმა ბათუმის საკითხის გარჩევაში, ის მეთოდი, რომელსაც იგი ხმარობს ამ საქმეში, მაინც მისაღებია: წესიერათ და სამართლიანად გადაწყვეტა ბათუმის საკითხისა შესაძლებელია მხოლოდ იმ ინტერესების შედარებით, რომლებიც ამ კუთხეს აკავშირებს ამა თუ იმ სახელმწიფოსთან.

ამიერ კავკასიის ყველა სახელმწიფოებს მრავალი სხვადასხვა ინტერესები აკავშირებენ ბათუმთან და ბათუმის ოლქთან. მაგრამ იმ საკითხის გადაწყვეტის დროს, თუ რომელ სახელმწიფოს საზღვრებში უნდა შევიდეს ეს კუთხე, ჯერ უნდა პრინციპიალურათ გადაიჭრას: რა ხასიათის ინტერესებს უნდა მიეწეროს პირველობა? რას უფრო აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ საკითხის სამართლიანად გადაწყვეტაში?

მსოფლიო ომის დასრულების დღიდან უფრო და უფრო აშკარა ხდება ერთი ნაყოფი, რომელიც მან მოიტანა: ეს არის „ეროვნულ სახელმწიფოთა" დაარსება. სახელმწიფოები ისე უნდა მოეწყონ, რომ ერთი სახელმწიფო დაახლოვებით ერთ ერს ეკუთვნოდეს, დემოკრატიის მოწინავე აზრმა დიდი ხანია წამოაყენა ეს ლოზუნგი, მაგრამ მან მხოლოდ დღეს, დიდ სახელმწიფოთა ნგრევის დროს, შეისხა ხორცი და უფრო და უფრო აღწევს გამარჯვებას. დანგრეულ რუსეთის იმპერიის ნიადაგზე აღმოცენდა ფინლიანდია, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, საქართველო, სომხეთი, აზერბეიჯანი. ეს სულ წმინდა „ნაციონალური სახელმწიფოებია", რამდენადაც კი ცხოვრებაში შესაძლებელია „წმინდა" პრინციპების გატარება. ამავ ნაციონალურ ნიშანს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ევროპის ახალ სახელმწიფოების ჩამოყალიბებაში: ჩეხო-სლოვაკია, სამხრეთი სლოვაკია, უნგრეთი—ესენიც სულ „ნაციონალური სახელმწიფოებია". ოსმალეთის ნანგრევებზე შენდება ნაციონალური სახელმწიფო—პალესტინა, სირია, არაბეთი. დღიურ წეს რიგზე დაყენებულია ირლანდიის რესპუბლიკის დაარსება. როგორც ვხედავთ, თანამედროვე მსოფლიო ისტორია იმ ხანაში შევიდა, როდესაც ეს ლოზუნგი საყოველთაო ხდება.

ბათუმის და მის ოლქის საკითხის გადაწყვეტაშიც ყველა დანარჩენი ინტერესები უკანა რიგში უნდა იდგნენ შედარებით ნაციონალურ კულტურულ ინტერესებთან, რადგან ეს ნაციონ. ინტერესები ერის და მის სახელმწიფოს კულტურასთან, მაშასადამე, უმაღლეს და უწმინდეს საჭიროებასთან არის დაკავშირებული. ბათუმი და მისი ოლქი უნდა შევიდეს იმ ერის სახელმწიფოში, რომელთანაც მისი მცხოვრებნი განუყრელად დაკავშირებულნი არიან წარსულ და აწმყო კულტურულ ცხოვრებით და რომელთანაც შეერთებულნი არიან კულტურის და საზოგადოებრიობის ისეთ იარაღით, როგორიც დედა-ენაა. ვინც ამ ნიადაგზე არ ჩერდება, ვინც იტყვის, რომ ამ საკითხის გადაწყვეტას სხვა პრინციპი უნდა დაედოს საფუძვლადო, იგი ლოღიკურის პირდაპირობით ძალადობის გზას ადგება. ეკონომიურ სარგებლობის პრინციპი მიუღებელია, რადგანაც ეს არ არის ისეთი მორალური ხასიათის პრინციპი, რომლის წინაშეც თავი უნდა მოიხაროს ვინმემ. ვერც სტრატეგიულ პრინციპს მივაწერთ გადამწყვეტ მნიშვნელობას. თუმცა საქართველოსთვის ორივე ეს თვალსაზრისი ყოვლად ხელსაყრელი იქნებოდა, რადგან არც ეკონომიურის და არც სტრატეგიულის მხრით ბათუმს და მის ოლქს ამიერ კავკასიის არც ერთი სახელმწიფოსთვის არა აქვს ისეთი დიდი სასიცოცხლო მნიშვნელობა, როგორც საქართველოსთვის, მაგრამ ეს თვალსაზრისი მაინც უკანა რიგში უნდა იყოს ჩაყენებული შედარებით ნაციონალურ კულტურულ თვალსაზრისთან.

მით უმეტეს ვერც რელიგიური სახელმწიფოებრივი მომენტი ითამაშებს მთავარ პრინციპის როლს: სარწმუნოებრივი სახელმწიფოებრიობა—ეს იქნება რომელსამე მეთორმეტე ან მეცამეტე საუკუნისთვის ყოფილიყო მისაღები და პატივსადები. მეცნიერების და პროგრესის სამყაროსთვის, რომელიც ჩვენმა საუკუნემ მოგვიტანა, იგი რეტროგრადული, დამაქვეითებელი და, მაშასადამე, სრულიად მიუღებელია.

ვის უნდა მიენიჭოს გადამწყვეტი ხმა ამა თუ იმ სახელმწიფოსთან ნაციონალურ-კულტურულ კავშირის არჩევაში? საბოლოო სიტყვა ამ საკითხში, რასაკვირველია, თვით ხალხს ბათუმის და მის მცხოვრებთა უმრავლესობის მიერ გამოთქმულ სურვილს უნდა დაეთმოს პირველი როლი ამ საკითხში. ეს სურვილი დღეს არავისთვის სადავო არ არის: მთელ აჭარის ხალხს არა-ერთხელ გამოუთქვამს, რომ მისი სასიცოცხლო ინტერესები მას საქართველოს საზღვრებში შესვლას მოითხოვენ. საკითხის სხვანაირად გადაჭრა, ეს იქნებოდა აშკარა ძალადობა ამ კუთხის მცხოვრებთა მიმართ.

დღეს ბათუმის საკითხი ისევ დგება მთელი თავის სიგრძე სიგანით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წინაშე. დღეს—არა—ხვალ ბათუმის საკითხის შესახებ ამ რესპუბლიკების ხმაც იქნება მოსმენილი ევროპის სახელმწიფოების მიერ. და ამიერ-კავკასიის მომავალი, ის კეთილგანწყობილობა, რომელიც დღეს უკვე ჩამოგდებულია საქართველოს და მის მეზობლებს შორის, ამ უკანასკნელთ ავალებს, რომ სადავოდ არ გახადონ ის, რაც არსებითად უდავოა, რის შესახებ დავაც მხოლოდ ძალადობის სფეროთი იქნება ნაკარნახევი.

ცენტრი და ადგილობრივი თვითმართველობა

პრესაში დიდი მითქმა-მოთქმაა სენატორ ქიქოძის რევიზიის გამო. როგორც ვიცით, მთავრობის თავმჯდომარემ სენატორ ქიქოძეს დაავალა რევიზიის მოხდენა თფილისის ქალაქის თვითმართველობის საბინაო განყოფილებაში იმ ხმებისა და მითქმა მოთქმის გამო, რომელიც ძლიერ გავრცელდა ამ ბოლო დროს საბინაო განყოფილების გარშემო.

ჩვენ სრულიად უყურადღებოდ ვტოვებთ იმ ყალბ და უსაფუძვლო ხმებს, რომელსაც ზეპირად თუ ზოგიერთი გაზეთების საშვალებით ავრცელებენ დაინტერესებული პირები, რადგან შეუძლებელია სერიოზულ მსჯელობის საგნად გავიხადოთ ასეთი ხმები.

არ შევჩერდებით აგრეთვე არც იმის განხილვაზე, თუ რა შედეგის მოტანა შეუძლია ასეთ რევიზიას, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ თანამდებობის პირთაგან ანგარიშის მოთხოვნა და საზოგადო მოღვაწეების ნამოქმედარის საჯარო სამსჯავროს წინაშე გამოტანა დემოკრატიულ წყობილების ქვაკუთხედია, ისეთი პირობაა, ურომლისოდაც შეუძლებელია ხალხის ინტერესების სათანადოთ დაცვა. ეს მარტივი და უდავო დებულება კარგათ აქვს შეგნებული თვით თფილისის ქალაქის გამგეობას, რომელიც მას შემდეგ, რაც რევიზიის შედეგი ცხადჰყოფს გავრცელებულ ხმების უსაფუძვლობას, კიდევ უფრო მეტის ენერგიით განაგრძობს თავის მძიმე და პასუხსაგებ მუნიციპალურ მოღვაწეობას.

ჩვენ უფრო გვაინტერესებს ამ საქმის ფორმალური მხარე, რადგან, ეჭვი არ არის, სადავოთ გამოაცხადებენ მთავრობის ზედამხედველობის უფლებას. იტყვიან: ქალაქის თვითმართველობა დემოკრატიის ნება-სურვილების გამომხატველია, ის არჩეულია საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭით, პროპორციულ წარმომადგენლობის საფუძველზე, და ამის შემდეგ ნუ თუ დემოკრატიულ თვითმართველობის უფლებების დარღვევა არ არის, როცა მთავრობა ზევიდან ერევა მის საქმეებშიო?

რა დასამალია, ასეთი შეხედულობა თვითმპყრობელობის დროის ნაანდერძევი ფსიხოლოგიურ განცდის ნაყოფია, მაშინ ყოვლადფერი ცენტრალური მთავრობის ხელში იყო, იმ ცენტრალურ მთავრობის, რომელიც არავის წინაშე პასუხს არ აგებდა. ადგილობრივი თვითმართველობა კი ისეთი ორგანიზაცია იყო, რომელშიაც მთელი ხალხი, ერის ყველა წოდება იყრიდა თავს. და რა არის საკვირველი, თუ ცენტრისა და ადგილობრივ თვითმართველობას შორის დაუსრულებელ უთანხმოებას და შეჯახებას ჰქონდა ადგილი. ეს ორი სხვადასხვა ქვეყანა იყო; ხალხი და ბიუროკრატია. პირველის განხორციელება იყო ერობა და ქალაქი, ხოლო მეორისა მთავრობა.

საზოგადოდ ადამიანის ფსიხოლოგია უფრო კონსერვატიულია, ვინემ თვით ცხოვრება. და ამის მიზეზია ის, რომ თუმცა მდგომარეობა შეიცვალა და თვითმპყრობელობა ისტორიას ჩაბარდა, მაგრამ ადგილობრივ თვითმართველობის და ცენტრალურ მთავრობის პრინციპიალურ დაპირდაპირებას მაინც აქვს ადგილი.

მართლაც, უპირველეს ყოვლისა ის დიდი ცვლილება მოხდა, რომ წოდებრივი მონარქიის ადგილი დაიჭირა ხალხის უზენაესობამ—დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და, მაშასადამე, ცენტრალური მთავრობა ისევე არჩეულია ხალხის მიერ, როგორც თვითმართველობის ორგანოები. მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება კი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენებური ადგილობრივი თვითმართველობა ძველებურად აღარ წარმოადგენს მარტოოდენ სამეურნეო ორგანიზაციას,—არამედ ის არის აგრეთვე ორგანო მმართველობისა: ძველი რუსეთის საგუბერნიო და სამაზრო მმართველობა ჩვენში გაუქმებულია და ცენტრალური მთავრობა მხოლოდ ერობის და ქალაქის თვითმართველობის საშუალებით მართავს რესპუბლიკის სახელმწიფო საქმეებს.

ამიტომ ცხადია, რომ მთავრობას არა თუ უფლება აქვს ყური უგდოს ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოების მუშაობას, ის ვალდებულიცაა ასე მოიქცეს. თავის თავად ცხადია, მთავრობა არ უნდა ერეოდეს ადგილობრივ თვითმართველობის წმინდა ეკონომიურ მუშაობაში, მაგრამ იქ, სადაც თვითმართველობის მუშაობა საერთო სახელმწიფოებრივ ხასიათის საქმეებს ეხება, მთავრობის ზედამხედველობასაც უნდა მიუწვდებოდეს ხელი.

ეს არ არის სხვისი უფლების შებღალვა. პირიქით, ეს არის სახელმწიფოებრივ ფუნქციების განაწილება.

ხოლო ამ გზის დატოვება და თვითმართველობების საქმეებში სრული ჩაურევლობა შექმნიდა და განამტკიცებდა არა დემოკრატიულ სახელმწიფოებრიობას, არამედ უპასუხისმგებლობას და ანარქიზმს. ეს კი ძირს გამოუთხრიდა ჩვენი დემოკრატიის ძლიერებას და ფეოდალურ საქართველოს ან საბჭოთა რუსეთის სოვდეპიებს მიგვამსგავსებდა.

ყალბი შეხედულება

ჩვენი საზოგადოების ზოგიერთ წრეებში ხშირად გაიგონებთ რუსეთზე მეტად შემცდარ აზრს. ამბობენ, რომ იქ სამოქალაქო ომის გაგრძელება საჭიროა ჩვენი რესპუბლიკისათვის, რადგანაც ანარქიაში მყოფი რუსეთი ჩვენთვის საშიშროებას არ წარმოადგენსო. ასე მსჯელობდა თავის დროზე ვოლტერი, რომელიც ამბობდა: უცხოეთის ჯარები ჩვენი ქვეყნის ბედნიერება არისო. ცნობილმა საფრანგეთის რევოლიუციის მონაწილემ მირაბომ ასეთ მის აზრს „ყოვლად საზიზღარი და მხოლოდ მეთორმეტე საუკუნის მოღვაწისთვის მისაღები შეხედულება" უწოდა.

ჩვენ არას ვიტყვით იმ მინიმალურ ჰუმანიზმზე, რომელიც უნდა ჩანერგილი ჰქონდეს თანამედროვე კულტურის ადამიანს. ეს გრძნობა უნდა უკრძალავდეს მას სხვის უბედურებაზედ თავისი ბედნიერება ააშენოს. არ შევეხებით ამ წერილში საერთაშორისო დემოკრატიულ პრინციპს. მაგრამ უბრალო ანგარიშიც კი უნდა უკარნახებდეს ქართველ მოქალაქეს მის გარშემო მდებარე სახელმწიფოებში ნორმალური ცხოვრების აღდგენის და აღმაშენებლობითი მუშაობის გაცხოველების სურვილს. ევროპის იმპერიალისტებმა კარგად შეიგნეს ბოლო დროს, რომ რუსეთის საწარმოო ძალებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ევროპის ეკონომიურ განვითარებისთვის. ჩვენთვისაც მომავალში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ სად დავუწყებთ ძებნას ჩვენთვის ამა თუ იმ საჭირო საქონელს: ყუბანის ოლქში, უკრაინაში, თუ ცხრა ზღვას იქით მდებარე არგენტინა და მის მეზობელ სახელმწიფოებში. ჩვენ თუ სინამდვილეს ანგარიშს გავუწევთ და არ აჰყვებით უშინაარსო ოცნებას, უნდა ვსთქვათ, რომ ზოგიერთი ჩვენი საქონელი უფრო ადვილად გასაღდება მეზობელ რუსეთში და იქიდანაც უფრო ადვილად შემოვიტანთ ამა თუ იმ საჭირო საქონელს. ამისთვის საჭიროა, რომ რუსეთი ჩადგეს ნორმალურ ერთნაირი კანონიერების კალაპოტში...

ის კი, ვინც თავის ერის დემოკრატიის გამარჯვების იმედს ამყარებს მეზობელ სახელმწიფოს არევ-დარევაზედ, მეტად ცუდი შეხედულობისაა დემოკრატიის სიძლიერეზე. თუ დამოუკიდებლობა არ არის ხელოვნური, თუ დემოკრატიული წყობილება მისთვის შეწონილია და თვით ცხოვრების გამოხატულებაა, მისი დანგრევა დღევანდელ საერთაშორისო პირობებში ყოვლად შეუძლებელია. ჩვენი დემოკრატიის ძალა-უფლება სრულებით ბუნებრივია, არა ბუნებრივია და ჩვენი განვითარების ხელის შემშლელია მეზობლად გამეფებული დაუსრულებელი სამოქალაქო ომი. ამ ომის საჩქარო ლიკვიდაცია

ᲓᲦᲔᲡ

ინგლისური პრესის ცნობით საფრანგეთის გაზეთები სიხარულს გამოთქვამენ იმის გამო, რომ სტამბოლი ოსმალეთს დაუტოვეს.

მოკავშირე სახელმწიფოები მოითხოვენ გერმანიისაგან სავაჭრო ფლოტის დარჩენილ ნაწილებს.

ბულგარეთთან საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის კანონ-დეკრეტს იტალიის მეფემ ხელი მოაწერა.

ინგლისის მაღაროს მუშები გაფიცვით იმუქრებიან, უკეთუ მთავრობა ქვა-ნახშირის მაღაროების ნაციონალიზაციას არ გამოაცხადებს.

ბოლშევიკების ცნობით ნოვო-ჩერკასკისა და როსტოვის რაიონებში სასტიკი ბრძოლაა.

უნდა უზრუნველყოს არა მარტო სოციალისტს, არამედ გულწრფელ დემოკრატსაც, როგორც მეტად ხელსაყრელი მისი ერის განვითარებისთვის.

ბ. თეკლათელი.

ᲞᲠᲔᲡᲐ

„აზნაურს“ (№ 37) მოჰყავს ჩვენი შენიშვნები ადგილობრივ ერობებში სომხების მონაწილეობის შესახებ და შემდეგს სწერს:

„ერთობელებს“, როგორც სჩანს, ჯერ კიდევ არ ეარდყვიათ განზრახვა, რომ საქართველო ჩასთვალონ თავიანთ საკუთარ საყმო მამულად და ამიტომ სრულიად გასაკვირი არ არის, როცა საეჭვო კაცებით და „კრამოლნიკებით“ ან „მოჩხუბრებით“ სთვლიან მათ, ვინც მუშაობს საქართველოს დემოკრატიის ინტერესების სასარგებლოდ.

„ერთობა“ ლაპარაკობს, თითქოს ჩვენ სოლოლაკის პლუტოკრატიის „აჭუდი“ ვიყოთ და ივიწყებს იმას, რომ ქართველი მენშევიზმის მთელი „თავის“ დაბინავებული სოლოლაკში... სახელმწიფოებრივი ინტერესების „თვალსაზრისით“ ხომ საჭიროთ არის ნათქვამი, რომ სოლოლაკელები ქუჩაში გაყარონ, რომ „სოც. დემოკრატ“ ბიუროკრატებმა „საკადრისი“ ბინები იშოვონ. ქალაქის სახაზინო განყოფილების ლიკვიდაცია მოახდინეს, როცა ჩვენი წვრილი და მსხვილი „მმართველნი“ გახდნენ არა თუ თავიანთ საკადრისი, არამედ სხვა მოხერხებული ბინებისა. მენშევიკ მეთაურების მიერ სოლოლაკის შეყვარების შემდეგ „ერთობა“ უფრო ჭკვიანათ მოიქცეოდა, რომ გაჩუმებულიყო, თავის „თავის“ უზრუნველსაყოფად თავი დაენებებინა ჩვენი „აჭუდისთვის“, რომელიც მხოლოდ მის წარმოდგენაში არსებობს“...

ამასა ჰქვიან „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“. „აზნაური“ ვითომ ფარობს „სოლოლაკელთა“ ინტერესების დამცველობას, მაგრამ მას ვერ გამოუჩენია ვერც იმდენი თავდაჭერილობა, ვერც იმდენი ჭკუა, რომ აქვე არ გამოაშკარავებინა თავისი გულისწყრომის მიზეზი ჩვენი რესპუბლიკის მესვეურთა მიმართ. სოლოლაკელთა ინტერესები ისე შესისხლხორცებული ჰქონია „აზნაურს“, რომ ერთი-ორი „სოლოლაკელის“ სახლში ბინის რეკვიზიცია მთავრობის საჭიროებისათვის ქვეყნის დაღუპვათ და საარაკო მძარცველობათ მოსჩვენებია. მხოლოდ სოლოლაკში მოხდენილი რეკვიზიცია უკლავთ გულს „აზნაურულ“ დაშნაკცაკანებს: ქალაქის სხვა ადგილებში ბინების რეკვიზიციას ისინი ადვილად შეურიგდებოდნენ, ოღონდ სოლოლაკისთვის—ამ დაშნაკელთა ბუდისათვის—არავის გეხლო ხელი.

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

17 თებერვალი

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

(ბასრედან)

(რამდენიმე სიტყვა არ მიგვიღია)... სანკეის (?) საზვ მყოფ ნახშირის მაღაროების ნაციონალიზაციის შესახებ მოლაპარაკება. ამის საპასუხოთ ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ ნაციონალიზაცია ყოვლად შეუძლებელია, თუ ამას არ დაეთანხმა „კახის“ ბიურო და რომ მემაღაროეთა სურვილი მაღაროებზე სრული კონტროლის უფლების მიღებისა, არ არის ნაციონალიზაცია. შემდეგ ლოიდ ჯორჯი მუშა ლიუნის უკიდურეს სიტყვის გარჩევას შეუდგა და სთქვა: ლიუნი ფიქრობს, რომ უმცირესობამ უმრავლესობაზე იდიქტატოროსო და ამ შემთხვევაში ჩვენ მას სიკვდილამდის შევებრძოლებით, რადგანაც მისი მოთხოვნილება საბჭოთა მთავრობის დამყარებასა და კონსტიტუციონურ მმართველობის მოსპობას გულისხმობსო.

(დასაწყისი არ მიგვიღია)... მემაღაროეთა ერთერთმა ლიდერმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ნაციონალიზაციის საკითხი პარლამენტს გარეშე უნდა გადასწყდეს. მან სთქვა: საერთო გაფიცვა დაიწყება 6 კვირის შემდეგ და მემაღაროენი მანამდე გამაგრდებიან, სანამ მათი ჯაჭვები არ დაიმსხვრევა. მუშებმა გადასწყვიტეს კერძო მესაკუთრეებისათვის აღარ იმუშაონ. ის წინასწარმეტყველობს, რომ ბილი ნაციონალიზაციის შესახებ თემთა პალატაში სამ თვეზე უფრო გვიან არ გატარდება.

ფლენსბურგში მომხდარ პლებისციტზე გერმანიასთან შეერთების მომხრეებმა 75,151 ხმა მიიღეს. დანიის თანამდებობის პირნი შევიდნენ ჩრდილოეთ შლეზვიგში, რათა დანიის ადმინისტრაცია მოაწყონ.

ვენიდან იუწყებიან: უნგრეთის მინისტრმა კანცლერს რენნერს წინადადებით მიმართა დასავლეთ უნგრეთის საკითხი მეგობრული შეთანხმებით გადასწყვიტონ.

ბერლინიდან მოსული ცნობით მთავრობას მოკავშირეთა ნოტა ჩაბარეს კომერციული ფლოტის დარჩენილი ნაწილის გადაცემის შესახებ. ნოტა შესდგება სპეციალურ აღნიშვნით სხვადასხვა გემების მოთხოვნის შესახებ.

საფრანგეთის გაზეთები ულოცავენ თავიანთ თავს მთავრობის გადაწყვეტილებას, რომ სტამბოლი ოსმალეთს დაუტოვეს და სრუტეებზე საერთაშორისო კონტროლი დააწესეს და იხ ეხებენ იმას, რომ საფრანგეთი ყოველთვის ამგვარ გადაწყვეტილების მომხრე იყო.

პრეზიდენტ ვილსონის ნოტის პასუხი ლოიდ ჯორჯმა და მილერანმა უკვე გამოიმუშავეს ლონდონში, მაგრამ ჯერ არ გამოუქვეყნებიათ.

იტალიის მეფემ ხელი მოაწერა დეკრეტ-კანონს, რომელიც ბულგარეთთან საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციას ეხება.

სტამბოლიდან იუწყებიან: სომხური გაზეთის ცნობით 20 კაცისაგან შემდგარი სპარსეთის დელეგაცია ერევანში მივიდა სომხეთსა და სპარსეთს შორის ეკონომიური და სავაჭრო დამოკიდებულების მოსაწესრიგებლად.

წყნარი ოკეანის ზღვის ნაპირის მოულოდნელი აწევა მოხდა. საფრანგეთის საოკეანო ადგილებს პანტსა და ტაპამაის მან ცოტა ზარალი მიაყენა მაგავეის კუნძულები ძლიერ დაზარალდა. გაჩნდა ფუმფურიანი ადგილები.

ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ლოიდ ჯორჯმა უნგრეთს შეატყობინა უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მისთვის ახალი ვადის მიცემის შესახებ.

ხუთშაბათს მილერანი სენატის საგარეო კომისიას წარუდგება და მოლაპარაკებათა მდგომარეობას გააცნობს. უახლოეს კვირას ის ისევ მიემგზავრება ლონდონში, სადაც იგი სამ დღეზე მეტს არ დაყოფს.

ყველამ იცის, რომ ერთა ლიგა ფინანსიური საკითხების გადაჭრას შეუდგა და ამ მიზნით საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა განიზრახა. ამითი, განაცხადა მარშალმა, ჩვენ დიდი ნაბიჯი გადავსდგით წინ და ეს ერთად ერთი საშუალებაა რაიმე დასკვნას მივაღწიოთ. კითხვა არა მარტო მოკავშირეებში ისმება, არამედ—იგი ეხება აგრეთვე ნეიტრალურ ქვეყნებსაც, რომელნიც ომის განმავლობაში გამდიდრდნენ და მაშასადამე, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიიღონ მათთვის ხელსაყრელ ახალი მდგომარეობის შექმნაში. ინგლისის ხაზინის ლორდ კანცლერთან ამ უკანასკნელ ყრილობის დროს მომხდარ სხდომებზე საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის და ბელგიის სპეციალისტი დელეგატები მოხსენებას აკეთებდნენ. მარშალის მოხსენებას საფრანგეთის მხრივ საერთაშორისო კონფერენციაზე წარსადგენათ გადასცემენ საფრანგეთის მთავრობის სპეციალურ დელეგაციას.

შაბათს, ელჩების კონფერენციამ გადასწყვიტა განახლოს მოწოდება ყველა მოკავშირე ქვეყნებისადმი, რათა მათ ყურადღება მიაქციონ ავსტრიის ტრაგიკულ მდგომარეობას და დაეხმარონ მას.

ᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

პრაგიდან იუწყებიან: პარასკევს თავდაცვის მინისტრმა კლოფაჩმა გამოუშვა მოწოდება იმ დღის მოგონების შესახებ, როდესაც ამ ერთი წლის წინად საფრანგეთის სამხედრო მისია თავის ვალდებულების ასრულებას შეუდგა. ამ მოწოდებაში იგი პატივისცემით იხსენიებს მისიის წევრებს და აღნიშნავს, რომ ისინი ფართოდ ხელს უწყობდნენ ჯარის ორგანიზაციას, გაწრთვნას და შტაბების მოწყობას. კლოფაჩი განსაკუთრებით დიდის მადლობით იხსენიებს გენერალ პელეს. მინისტრმა განაცხადა, რომ ფრანგი ინსტრუქტორების დახმარება კიდევ მრავალ წელს დაჭირდება ჯარის რეორგანიზაციის დასამთავრებლად.

„ტანი“ სწერს ოსმალეთის საკითხის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ: პირველ ხანებში ფრანგები და ინგლისელები ვერ შეთანხმდნენ ამ საკითხზე. ფრანგებს სურდათ, რომ იგი პარიზში გარჩეულიყო, იმ დროს, როდესაც ინგლისელები დაჟინებით მოითხოვდნენ კამათი ამ საკითხის შესახებ ლონდონში უნდა მომხდარიყო. ბოლოს და ბოლოს გადასწყვიტეს, რომ ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულების ძირითადი საფუძვლები განხილული ყოფილიყო ლონდონში, მაგრამ სხდომები კი, რომლებზედაც საბოლოო გადაწყვეტილებანი იქნებოდა მიღებული, პარიზში მომხდარიყო. კონსტანტინოპოლის შესახებ პირველ თათბირზე ინგლისელები მომხრენი იყვნენ ოსმალების ევროპიდან სრული განდევნის, ფრანგებს არ სურდათ მაჰმადიანთათვის შეურაცხყოფის მიყენება და ამბობდნენ, სჯობს, რომ—„ავადმყოფი კაცი“ მის მიერ საუკუნოებით დაკავებულ ადგილზე დაეტოვებიათ და კვლავ ეპყრას ძველი ბიზანტია. მაგრამ შემდეგში მეტად საინტერესო ცვლილება მოხდა: ინგლისელებმა, რომელთაც ასე სურდათ ოსმალების ევროპიდან განდევნა, შეიცვალეს აზრი და თითქმის მიიღეს საფრანგეთის თვალსაზრისი, ამ დროს კი ფრანგები, თითქოს, აღარც კი ზრუნავდნენ დიდი ოსმალეთის დაცვაზე [illegible], ეხლა მიაღწიეს ერთსულოვან შეთანხმებას, რომელშიაც წინდახედული არ არის უკიდურესი ზომები.

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

მოსკოვი 16 თებ. სამარა 14 თებ. სამარის ლუკის რაიონში ვოლგის ელექტროფიკაციას აპირებენ. სრულიად რუსეთის ინჟინერთა ასოციაციის სამარის განყოფილებამ ამ თემაზე მრავალი მოხსენება შეიმუშავა.

ლიონი 14 თებ. ბუდაპეშტიდან გადმოგვცემენ უნგრეთის სოციალისტური პარტიის მეთაურის გრაფ სომსიჩის განცხადებას მონარქიის რესტავრაციის შესახებ: საკითხი თვით მეფის შესახებ წარმოადგენს მეორე ხარისხოვან საკითხს. მრავალი ჩვენგანი იმ აზრის არის, რომ მეფედ იქნეს ინგლისის პრინცი, ზოგიერთები კი მოითხოვენ კანდიდატი არჩეულ იქნეს ნეიტრალურ სახელმწიფოებიდან ნორვეგიიდან ან ისპანიიდან.

ბერლინი. 15 თებერვალი. ვენიდან იუწყებიან, რომ იქ მოსული მოკავშირეთა საკონტროლო კომისია, 100 ოფიცრისაგან და 500 ჯარისკაცისაგან შესდგება. ოფიცრები ყოველ დღე 400,000 ფრანკამდე ღებულობენ, ჯარისკაცთა შენახვა კი დღეში ნახევარი მილიონი ფრანკი ჯდება. ამ გვარად, მოკავშირეთა კომისია თვეში იღებს 45 მილიონ ფრანკს, ე. ი. ამ კომისიის შენახვა ჯდება 3 ჯერ მეტი მასზე, ვიდრე ავსტრიის მთელი ჯარის შენახვა.

ბერლინი. 15 თებერვალი. ლონდონიდან იუწყებიან, მუშათა ლიდერმა ხარტსხორნმა განაცხადა, რომ მაღაროს მუშები საერთო გაფიცვით მაღაროების ნაციონალიზაციას მიაღწევენო.

მოსკოვი. სამხედრო ცნობა. ჩრდილო-დონის რაიონში და სრედნე მეზრინგის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა სრედნე-მეზრინგის გარნიზონს გარს შემოარტყა და დაიმორჩილა ჩვენ ტყვეთ წამოიყვანეთ 500 ჯარისკაცი, 8 ოფიცერი, ხელში ჩავიგდეთ 3 ზარბაზანი. 50 ტყვიისმფრქვეველი, თოფები, ტყვიები და სხვა. ტროიცკო-ცარიკოვის რაიონში დამატებითი ცნობებით ტყვეებს გარდა ჩვენმა ჯარმა ხელში ჩაიგდო 70 ტყვიისმფრქვეველი, 1000 ინგლისური თოფი, 700,000 ტყვია. პლისეცკოვსკის მიმართულებით ჩვენი შეტევა კარგად ვითარდება. ნარვის რაიონში ჩვენ მხარეზე მტრის 100 კაცი გადმოვიდა. როგაჩევის მიმართულებით მზვერავები მოქმედებენ, როსტოვის და ნოვოჩერკასკის რაიონში და მინიჩის ზემო ხეობებში მკაცრი ბრძოლა გრძელდება. ველიკოკნიაჟის დასავლეთით და სამხრეთით 25—35 ვერსზე ჩვენ სადგ. ზაბლიევკა და ეგორლიკი ავიღეთ. სტავროპოლის რაიონში სოფლები ავიღეთ. დამატებითი ცნობით კრასნოვოდსკში ჩვენ ხელში ჩავიგდეთ 30 ორთქლმავალი, 590 ვაგონი და სხვა [illegible]. წამოვიყვანეთ 500 ტყვე. დანარჩენ ფრონტებზე მზვერავები მოქმედებენ.

პოლონეთის მთავრობა საბჭოთა რუსეთს პირდება, რომ იგი რამდენიმე დღეში გამოუგზავნის მას ცნობას, ზავის პირობების შესახებ.

მოკავშირეების უმაღლესი საბჭო სწყვეტს სტამბოლი ოსმალებს დაუტოვოს. სულთანი ისევ იქნება ოსმალეთის მმართველად, მაგრამ მოკავშირეების თვალ-ყურის დევნებით.

ინგლისური გაზეთები ეხლა სულ სხვა გვარად სწერენ ვიდრე წინათ. ინგლისელებს იმედი აქვთ, რომ ვაჭრობა იმდენათ აღორძინდება, რომ მორიგება მოხდება საბჭოთა მთავრობასთან, რომლის აღიარებაც თითქოს სურთ.

ლატვიაში უნახშირობის გამო რკინის გზის მოძრაობა შეჩერებულია. მოკავშირეები მას დახმარებას ჰპირდებიან. ლიბავაში გაუგზავნეს გემი ინგლისის ნახშირით და რკინის გზას 2 ნახ. ათასი ფუთი ნახშირი მისცეს.

შვეციის ლითონის მუშები საბჭოთა რუსეთში წასვლას აპირებენ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

იტალიის სამოქალაქო მისია მთავრობის თავმჯდომარესთან გუშინ დილის 12 საათზე იტალიის სამოქალაქო მისიის მთელი შემადგენლობა ინახულა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ე. პ. გეგეჭკორი, რომელთანაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ იტალიის და საქართველოს ეკონომიური დაახლოვების შესახებ. შემდეგ მისია დაესწრო დამფუძნებელ კრების სხდომას, სადაც დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე მიესალმა მას. დეპუტატებმა ოვაციები გაუმართეს სტუმრებს.

◆ **დამოუკიდებლობის აღიარების გამო.** საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო დამფუძნებელმა კრებამ მილოცვის დეპეშა მიიღო ოსმალეთის პარლამენტისაგან.

◆ **დეზერტირების საყურადღებოთ.** თფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ დამფუძნებელი კრების მიერ გამოცხადებული ამნისტიის მე 19 მუხლის ძალით ყველა დეზერტირები, რომლებიც თავისი ნებით გამოცხადდებიან მიმდინარე წლის 1-ლ მარტამდე სამხედრო ბეგარის მოსახდელათ თავისუფლდებიან სასჯელისაგან.

◆ **მოძრაობის შეწყვეტა.** ძლიერი ქარ-ბუქის გამო კახეთის რკ. გზაზე 10 თებერვლიდან მატარებელთა მიმოსვლა შეწყვეტილია. ნავთლუღსა და იორს შუა განუწყვეტელი მუშაობა სწარმოებს მაგრამ გზის გაწმენდა ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა.

◆ **სომეხი ლტოლვილები.** ამ დღეებში ნოვოროსიისკიდან ფოთში ჩამოვიდა გემი „რუსი“, რომელსაც ჩამოჰყავდა 300 ლტოლვილი სომეხი. ლტოლვილები ამ დღეებში სომხეთში გაემგზავრებიან.

◆ **კულტურული მუშაობა გვარდიაში.** სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა 10 და 13 თებერვალს, თანახმად კულტ.-განმ. განყოფილების გამგის სალექციის მოხსენებისა დაადგინა: 1) მიეცეს ჯავშნიან საავტომობილო გუნდის კულტ.-განმან. კომისიას ავანსად 15.000 მან. კულტურულ განმანათლებელ მიზნებისათვის. 2) მიეცეს ცხენოსანი დივიზიონის კულტ. გან. სექციას ამავე მიზნისათვის ავანსად 15 000 მან.

◆ **საქართველოს მეაბრეშუმეთა** ყრილობის მომწვევი კომიტეტი აცხადებს, რომ ხსენებული ყრილობა შესდგება თფილისში, 29 თებერვალს, დილის 11 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში.

◆ **ქალაქის საავადმყოფოში.** 1 თებერვალს ქალაქის საავადმყოფოში ყოფილა 51 სხვადასხვა სენით ავადმყოფი. მიეღოთ 17, გარდაცვლილა 3, გამოწერილა 11. 8 თებერვლისათვის საავადმყოფოში დარჩენილა 54 ავადმყოფი.

◆ **ხელოვნების დავით კლდიაშვილის** პატივსაცემლად ხუთშაბათს, 19 თებერვალს, 30 წლის სამწერლო მოღვაწეობის აღსანიშნავად სახალხო უნივერსიტეტი და მუშათა კლუბი მართავს საზეიმო სალამოს? სალამოზე მოხსენებას გააკეთებს ივ. გომართელი.

◆ **მუშათა კლუბი.** შაბათს 21 თებერვალს იმავე კლუბში იმართება სადღესასწაულო სალამო, რომელშიაც მონაწილეობენ ქ-ნი ქიხარევა. ბ-ნი ალ. წუწუნავა, თავგუნა, ალ. ქორქოლიანი და სხვები.

◆ **სტუდენტ იურისტთა კრება.** ოთხშაბათს, 18 თებერვალს დილის 4 საათზე სასამართლოს დაწესებულებათა შენობაში დანიშნულია სტუდენტ იურისტთა კრება. სთხოვენ ყველა ამხანაგებს აუცილებლად დაესწრონ ამ კრებას.

◆ **სკოლის გახსნა.** კახეთის რკინის გზის პროფ. კავშირის მთავარმა გამგეობამ სადგურ გურჯაანში 26 იანვრიდან გახსნა პირველ დაწყებითი სკოლა ორი განყოფილებით.

◆ **სახელმწიფო თეატრი.** დღეს, ბალეტის ბენეფისია. ხუთშაბათს, 19 თებერვალს „აიდა“. პარასკევს, 20 თებერვალს ბ. ა. ინსას ბენეფისი „პიკის ქალი“.

◆ **ეროვნებათა უმცირესობის საკითხი.** დღეს, ოთხშაბათს, საღამოს 7 საათზე სასახლეში დანიშნულია დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომა. განსახილველია ეროვნებათა უმცირესობის საკითხი კონსტიტუციის პროექტისთვის.

◆ **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** დღეს, თებერვლის 18-ს, საღამოს საათის 7-ზე, მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება კავკასიის საარქეოლოგიო ინსტიტუტის დარბაზში (ოლღას ქუჩა № 40). კრების საგანია: 1) მელქისედ-ბეგის მოხსენება — „სუქოველნი ძველ ქართულ სალიტურგიკო-საჰაგიოგრაფიო მწერლობაში“, და 2) ახალი წევრების არჩევა. კრებას გარეშეთაც შეუძლიათ დაესწრონ.

◆ **ბორჯომის მინერალურ წყლების ექსპლოატაცია.** ბორჯომის ქალაქის თვითმართველობა სთხოვს ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტს, რათა მან იშუამდგომლოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე, რომ ბორჯომის მინერალური წყლების ექსპლოატაციის უფლება მიეცეს ბორჯომის ქალაქის თვითმართველობას.

◆ **საქართველოს მეთამბაქოეთა** ყრილობა გაიხსნა 15 თებ. დილის 11 ს. თფილისში სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში, მორიგი კრება შესდგება ხუთშაბათს 19 დილით ქალაქის გამგეობის დარბაზში.

◆ **თფილისის ქალაქის გამგეობა** იწვევს სამსახურში ოთხს ფერშალს სანიტარულ ექიმთა თანაშემწის ადგილზე.

◆ **სოც. დემ. სტუდენტთა საყურადღებოდ.** დღეს, ლექციების შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტში დანიშნულია ყველა დარგების და ფაკულტეტების სოც. დემოკრატ სტუდენტთა საწევრო კრება.

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ბ. იშხანიანის რუსული წიგნი „Великіе ужасы въ Баку (анкетное изслѣдованіе сентябрскихъ событій 1918 г) წიგნი შეიცავს 176 გვერდს და ღირს 70 მანეთი.

ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ

— ხუთშაბათს, 19 თებერვალს, შესდგება ჩვეულებრივი სხდომა ს. ს. დ. მ. 3 მესამე რაიონის კოლექტივისა, (ვახტანგის ქ. № 1).

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

გორის სამაზრო ერობის გამგეობა აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 20 თებერვლიდან მოწვეულია ქ. გორში სამაზრო ერობის შენობაში სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობა.

დღიურ წესრიგში სდგას საკითხები: 1) გამგეობის მოხსენება, 2) დამატებითი ხარჯთ აღრიცხვა, 3) გამგეობის გასულ წევრების მაგიერ ახლის არჩევა, 4) მოსამართლის არჩევა ხაშურის და ჯავის უბნებისთვის, 5) მიმდინარე კითხვები.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ

7 თებერვლის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

— შეწყნარებულ იქნას ასლან გიორგის ძე ყაზილბაშის შუამდგომლობა გვარის შეცვლის შესახებ და ამიერიდან ეწოდოს მას აბაზიძე.

— სამხედრო მინისტრის მიერ წარმოდგენილი ცხრილი, სამხედრო უწყების მოსამსახურეთა გადიდებულ ჯამაგირებისა მიღებულ იქნას და სათანადო დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

— სამხედრო უწყების მოსამსახურეებს, სამსახურის საქმის გამო მოგზაურობის დროს მიეცეთ დღიურ ფულად თვიურ ჯამაგირების ერთი მეოცედი, რასაც უნდა მიემატოს დღიური ულუფის ღირებულებაც. ჯარისკაცებს, მოგზაურობის დროს—უნცროს ოფიცრების თვიური ჯამაგირების ერთი მეოცედი. სათანადო დეკრეტი სამხედრო სამინისტრომ წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

რუსეთი

შორეულ აღმოსავლეთში. შორეულ ციმბირიდან ჩამოსული პირები შემდეგ ცნობებს აწვდიან გაზ. „ვოზროჟდენიეს“: შორეულ აღმოსავლეთში ამ ბოლო ხანებში მრავლათ ესახლებიან ჩინელები და იაპონელები. ამათგან იაპონელების დასახლება ხდება წინასწარი განსაზღვრულ გეგმების მიხედვით მაშინ, როდესაც ჩინელებს არავითარი გეგმა არა აქვთ. იაპონელების დასახლება რუს მცხოვრებთა ხარჯზე ხდება შემდეგნაირათ: შევლენ თუ არა იაპონელები რომელიმე სოფელში, ასტეხენ თოფის ცემას; შემდეგ წაუკიდებენ ცეცხლს სოფელს და არც ერთი მცხოვრები ცოცხალი არ რჩება. ამის შემდეგ იაპონელები თავისიანებს ასახლებენ გაწმენდილ ადგილებზე და ხდებიან ბატონები ცხოვრების ყველა სფეროებში. შორეულ აღმოსავლეთში ბევრი სიმდიდრეა ტყეებისა და ნედლ მასალების სახით, რასაც ერთიანათ იაპონელები ეპატრონებიან. სულ სხვაგვარათ ხდება ჩინელების დასახლება. ისინი მიდიან იქ, სადაც თავისუფალი ადგილებია; ასეთები კი ციმბირში ბევრია და თუ ანგარიშს გავუწევთ იმ გარემოებას, რომ თვით ჩინეთში დიდი სივიწროვეა მცხოვრებთა სიმრავლის გამო, ციმბირში კი—თითქმის არავითარი მთავრობა არ არის, რომელმაც გადმოსახლებას წინააღმდეგობა გაუწიოს,—გადასახლება ფართო ხასიათი მიეცემა და „ყვითელი საფრთხე“ ციმბირისათვის რეალურ საფრთხეთ გადაიქცევა. ბოლშევიკები ამ მოვლენას დიდ ყურადღებას არ აქცევენ; ისინი ჩინელებს თავიანთ ჯარებში მიიღებენ და უნდა ითქვას სიმართლე, რომ მათი დახმარებით შესძლეს ბოლშევიკებმა კოლჩაკის დამარცხება. ძნელი სათქმელია, ვინ იბატონებს ციმბირში მომავალში. ერთი კი აშკარაა, რომ ჩინელებმა ამ ბატონობაში, შესაძლებელია, თვალსაჩინო როლი ითამაშონ.

მდგომარეობა ჩრდილო-კავკასიაში. ჩრდილო-კავკასიიდან ჩამოსული პირი შემდეგ ცნობებს აწვდის გაზ. „გოლოს გორცევ“-ის რედაქციას: 3 დან 20 იანვრამდე თერგის ოლქში დიდი შიშიანობა იყო; ყველა თავს უყრიდა თავიანთ ნივთებს და სადღაც მიეზიდებოდა. ემზადებოდნენ „მინერალნია ვოდის“ რაიონისა და ქ. კავკავის დაცლისათვის; მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ ეს ნაადრევი იქნებოდა და ევაკუაციაც შეჩერებულ იქნა. შიშს იწვევდა ბოლშევიკების მოახლოვება. ქ. ყიზლიარი ადგილობრივ ბოლშევიკებმა აიღეს, რომელთაც იგი 3 დღეს ეჭირათ; 20 იანვარს ყიზლიარი ისევ დაიბრუნეს „მოხალისეებმა“. კავკავში მოკალათებულ მთიელთა ინტელიგენცია ეძებს გამოსავალს შექმნილ მდგომარეობიდან, მაგრამ მისი სურვილი მხოლოდ სურვილათ რჩება და საქმეზე არ გადადის. პშემახო კოცევი „მოხალისეების“ მხრივ არავითარ ყურადღებით არ სარგებლობს; მას აუკრძალეს ეკატერინოდარში შესვლა და როდესაც იგი ოჯახური საქმეების გამო იქ წავიდა,—„მოხალისეებმა“ დაატყვევეს და მხოლოდ რამოდენიმე ხნის შემდეგ გაანთავისუფლეს. საერთო სულიერი განწყობილება დაცემულია, თუმცა მობილიზაცია გარეგნულათ კარგათ ტარდება. „მოხალისეთა“ კავალერიაში მთიელთა რაზმებიც იბრძვიან; ესენი ძალით გაყვანილნი არიან. მოსაუბრის აზრით „მოხალისეთა“ დღენი ჩრდილო კავკასიაში დათვლილია.

სუხორუკოვის დახვრეტა. სამხედრო სასამართლოს დადგენილებით ქ. პეტროვსკში დაუხვრეტიათ ბოლშევიკების სიმპატიის გამო მემარცხენე სოც.-რევ. და ესერების პარტიის თვალსაჩინო მუშაკი ბიჭიში,—ტიმ. სუხორუკოვი. სუხორუკოვი მთავარ კომისრათ იყო მუგანში, საიდანაც იგი გაიქცა მუგანის რაიონის აზერბეიჯანის ჯარების მიერ დაკავების შემდეგ.

პეტროვსკში. პეტროვსკიდან ჩამოსული პირების ცნობებით პეტროვსკში თითქმის არ დარჩენილან ყაზახები. ქალაქი ემზადება ევაკუაციისათვის. გემები დატვირთულია სახაზინო საქონლით. ბევრი გემი პეტროვსკის ნავთსადგურში ძალზე დაზიანებულია. მატარებლები მხოლოდ თემირ-ხან-შურამდე და გროზნამდე დადის. სულიერი განწყობილება ქალაქში დაცემულია. საერთოდ ქალაქი გარშემორტყმულ ციხეს მოგაგონებთ; ქუჩაში თითქმის არავინ დადის. თუ ვინმე შემთხვევით გაივლის,—მას დაიჭერენ და სანგრებს ათხრევინებენ. საღამოობით სროლის ხმა ისმის. დიდი სიმცირეა სურსათ-სანოვაგისა. ქალაქს მალე დაიკავებენ დაღესტნელები.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

ცვლილება ინგლისის პოლიტიკაში. გაზ. „ტერჯუმენ ხაკიკატ“-ს პარიზიდან ატყობინებენ: საფრანგეთის პოლიტიკურმა წრეებმა სწორი ცნობები მიიღეს, რომლის თანახმათაც ინგლისის პოლიტიკაში ოსმალეთისა და აღმოსავლეთის საკითხების მიმართ ცვლილება მომხდარა ოსმალეთის სასარგებლოთ. ლოიდ ჯორჯმა შეიცვალა თავისი უწინდელი შეხედულება ამ საკითხების შესახებ და გადაწყვეტილი აქვს საფრანგეთ-იტალიასთან შეთანხმებით იმოქმედოს.

მთავრობა და მუშები. სახალხო განათლების საბჭოს პრეზიდენტმა ფიშერმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის უახლოეს მთავრობას განზრახული აქვს ცხოვრებაში გაატაროს შემდეგი კანონპროექტები მუშათა საკითხის მოსაწესრიგებლად: ახალგაზრდობის თავისუფალი აღზრდა, უმუშევრობისგან დაზღვევა, საარჩევნო უფლების გაფართოება, საარჩევნო უფლების მინიჭება ქალებისათვის, ირლანდიის თვითმართველობის უფლებების გაფართოება, სამუშაო დროის შემცირება მრეწველობაში. დასასრულ ფიშერი ამბობს, რომ ინგლისის მუშათა კლასი მხარში უდგას მთავრობას; წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი აზრით, ინგლისის მთავრობა ერთ დღესაც ვერ იარსებებდა რადგანაც მუშათა კლასი ინგლისში მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას შეადგენს.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ

კომუნისტების გამოსვლები. კონსტანტინოპოლის გაზ. „ბოსფორი“ შემდეგ ცნობებს იძლევა ბულგარეთში მომხდარ კომუნისტების გამოსვლების შესახებ: ქ. კაილში ბრბო, რომელსაც კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ, თავს დაესხა სადგურს, დასწყვიტა ტელეფო

ნისა და ტელეგრაფის მავთულები, აჰყარა ლიანდაგი და ხელს ჩაიგდო იარაღით დატვირთული ვაგონი. სურსათით დატვირთული ვაგონები ზოგი დაამსხვრიეს, ზოგი დასწვეს. ბრბო გაფანტა შეიარაღებულმა გლეხობამ. გაქცევის დროს კომუნისტებმა დასტოვეს იარაღები. მეთაურები ზოგი დაიჭირეს, ზოგის დასაჭერათ მიღებულია ზომები. ქ. გურგანში შეიარაღებულმა ბრბომ სცადა დაპატიმრებულ კომუნისტების განთავისუფლება, მაგრამ პოლიციამ გაფანტა. დაიჭირა 20 კაცი. ასეთივე შეტაკებები მოხდა ახალზაგორის რაიონშიაც.

სპარსეთი

კუჩუკ-ხანი და ბოლშევიზმი. გაზ. „ვოლნი" შემდეგს იტყობინება: ჯანგალიების წინამძღოლი კუჩუკ ხანი მთავრობისთვის იარაღის ჩაბარებისა და თავის შეიარაღებულ ბრბოების დათხოვის შემდეგ ქ. თეგერანში დასახლდა. აქ მასთან მივიდნენ ბოლშევიკების წარმომადგენლნი და მოლაპარაკება გამართეს. კუჩუკ-ხანმა მათ განუცხადა, რომ ბოლშევიზმი არ შეეფერება მუსულმანთა რელიგიასა და აღმოსავლეთის ზნე-ჩვეულებას. ამიტომ მან უარი უთხრა ბოლშევიკებს წინადადებაზე რათა მას ემოქმედნა მათთან ერთად სპარსეთში არსებულ წყობილობის წინააღმდეგ. ამის შემდეგ კუჩუკ-ხანმა განუცხადა ბოლშევიკებს, რომ შემდეგში მას არ შეუძლია უზრუნველყოს ბოლშევიკების სიცოცხლე სპარსეთში და ვერავითარ დახმარებას ვერ გაუწევს, თუ ისინი დაპატიმრებულნი იქნებიან სპარსეთის მთავრობის მიერ. ბოლოს მან ურჩია ბოლშევიკებს გააფრთხილონ თავიანთი ამხანაგები და ნუ მივლენ სპარსეთში.

ოსმალეთი.

ნაციონალური ბლოკი. ოსმალეთის პარლამენტის ერთ-ერთი ჯგუფმა, რომელშიაც 90 კაცი შედის, შეადგინა განსაკუთრებული ნაციონალური ბლოკი, რომელიც ანატოლიის ნაციონალური მოძრაობის მიზნებს იზიარებს.

დაღესტანი

განხეთქილება კომუნისტებსა და ოსმალოებს შორის. ასტრახანიდან დაღესტანში ჩავიდა ასტრახან-ცარიცინის საბჭოთა ჯარების მთავარ-სარდლის ტრუბაჩევსკის ამხანაგი, რომელმაც მოსთხოვა ოსმალოელ ოფიცრებს, ჩააბარონ მას სარდლობა დაღესტანში. ამ ნიადაგზე კომუნისტებსა და ოსმალოებს შორის დიდი უთანხმოება დაიბადა, რამაც, შესაძლებელია, შეიარაღებული შეტაკებები მოყვეს. უთანხმოებაა აგრეთვე სხვა და სხვა ორიენტაციების მომხრეთა შორის. ყველა ამ გარემოებათა გამო თან და თან ძლიერდება დაღესტანის დემოკრატიული, დამოუკიდებელი მიმდინარეობა. („ვოლ. გორ.").

უთანხმოება კომუნისტებს შორის. ბაქოში სწარმოებს მთიელ კომუნისტების თათბირი, რომლის მიზანსაც შეადგენს მთიელების საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადების საკითხის განხილვა. ეს საკითხი სერიოზულ უთანხმოებას იწვევს მთიელ კომუნისტებსა და კომუნისტების კავკასიის საოლქო კომიტეტს შორის; კომიტეტის თფილისის ბიურო წინააღმდეგია მთიელთა რესპუბლიკის დაარსებისა, ბაქოს კი—მომხრე. მთიელი კომუნისტები თფილისში დამარცხდენ; შემდეგ ბაქოში წავიდნენ და ბოლოს გაემგზავრებიან დაღესტანში, სადაც რესპუბლიკა გამოცხადებული იქნება. ამასთანავე მთიელმა კომუნისტებმა გადასწყვიტეს გასწყვიტონ ყოველგვარი კავშირი საოლქო კომიტეტთან და დაიკავონ პირდაპირი კავშირი ცენტრთან. ამ უკანასკნელ ნიადაგზედაც მოსალოდნელია სერიოზული უთანხმოება ცენტრალისტებსა და არა ცენტრალისტებს შორის. („ვოლ. გორ.").

თემირ-ხან შურასთან. გაზ. „ვოლნი გორეცს" საკუთარი კორესპონდენტი ატყობინებს: ქ. თემირ-ხან შურას წინააღმდეგ მომქმედ აჯანყებულთა რაზმებთან სოფ. კაზანიშჩში ქ. შურიდან, დაღესტანის ოფიცრობისაგან მოვიდა დელეგაცია, რომელმაც განაცხადა, რომ ოფიცრობა დაუთმობს ქალაქს აჯანყებულებს, თუ კი უზრუნველყოფილი იქნება მცხოვრებთა ფიზიკური არსებობა და ქონება; „მოხალისეებს" ქალაქი უკვე დაუცლიათ. აჯანყებულებმა განუცხადეს, რომ ისინი თანახმანი არიან უზრუნველყონ ოფიცრობის სიცოცხლე იმ პირობით, თუ გადაცემული იქნებიან შემდეგი პირები: ხალილოვი, ტარკოვსკი და მაგომედოვი და აგრეთვე ჩააბარებენ იმ იარაღს, რაც ოსმალოებმა დასტოვეს დაღესტანში. მოლაპარაკება გრძელდება.

ადერბეიჯანი

ამნისტია. 11 თებერვალს საპყრობილეთა ინსპექტორისა და საოლქო სასამართლოს პროკურორის თანდასწრებით განთავისუფლებულ იქნენ პატიმარნი ბაილოვის საპყრობილიდან. იმავე დღეს უნდა განთავისუფლდნენ პატიმარნი ბაქოს გუბერნიის ყველა საპყრობილეებიდან.

ბარათების სისტემა. 27 იანვრიდან 6 თებერვლამდე პურის ბიუროს განკარგულებაში გადასულა სულ 13 000 ფუთი ხორბალი. პურის სიმცირის გამო განზრახულია შემოკლებულ იქნეს ბარათების სისტემა პურის განაწილებაზე, რაც შეატყობინეს „ცენტროლდომსა" და „კოოპერაციას".

ადერბეიჯანი და ბოლშევიზმი. გაზეთი „ბაკინეც"-ში შემდეგი ცნობაა მოყვანილი: პარლამენტის წრეებში გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს ბოლშევიკურ ორგანიზაციის პროპაგანდა-აგიტაციას, იმ ორგანიზაციისას, რომელსაც საკუთარი პრესაც კი აქვს და აშკარა ანტისახელმწიფოებრივ მუშაობას აწარმოებს ადერბეიჯანის ტერიტორიაზე. მთავრობასთან ახლო მდგომი დეპუტატები ასეთ ქცევას იმით ხსნიან, რომ თავისუფალ რესპუბლიკაში ალაგი არ უნდა ჰქონდეს პოლიტიკურ პარტიებისა და მათ ორგანიზაციების შევიწროებას, სანამ ისინი ამგვარ მოქმედებას არ დაიწყებენ მთავრობის წინააღმდეგ; ხოლო თუ ეს უკანასკნელი მოხდება,—მაშინ მთავრობა გაბედულ ნაბიჯებს გადადგამს და არავის არ შეიბრალებს. როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში, ამ შემთხვევაშიაც ადერბეიჯანის მთავრობა ჰბაძავს მეზობელ საქართველოს მთავრობის მოქმედებას; იქაც არ ავიწროებდნენ ბოლშევიკებს, სანამ უკანასკნელ გამოსვლას არ მოაწყობდნენ. მაგრამ გამოსვლის შემდეგ ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ შეუბრალებელი იყო. ამ მოსაზრებების ძალით ადერბეიჯანის მთავრობა უსაფუძვლოთ თვლის ამ საკითხის შესახებ მისდამი მიმართულ საყვედურებს.

რედაქტორების პასუხის გებაში მიცემა. ადერბეიჯანის რკინის გზების უფროსმა მელიქ-ასლანოვმა პასუხის გებაში მისცა გაზ. „ბაკინსკოე სლოვო"-ს, „იტტიხადისა" და „ტელეგრაფის" რედაქტორები. მის პიროვნების დამამცირებელ ცნობების მოთავსებისათვის.

ნავთის მრეწველობა. იანვრის განმავლობაში ამოუღიათ დაახლოვებით 18,156,376 ფუთი გადაუმუშავებელი ნავთი

სომხეთი.

მთავრობის რეკონსტრუქცია. „მშაკ"-ის ცნობით სომხეთის მთავრობის ზოგიერთი წევრები თავს ანებებენ მთავრობაში სამსახურს; ამიტომ აუცილებელია მთავრობის კრიზისი ამბობენ, რომ ახალი მთავრობა შედგენილი იქნება კოალიციური პრინციპზე, მთავრობაში შევლენ ნუბარ ფაშა და სხვა გამოჩენილი მოღვაწენი ოსმალეთის სომხეთისა. ნუბარ ფაშის ჩამოსვლას უკავშირებენ იმ გარემოებას, რომ მოკავშირეებმა აღიარეს გაერთიანებული სომხეთი.

მანდატი სომხეთზე. გაზ. „მატენს" (28 იანვ.) ჰააგიდან ატყობინებენ, რომ მანდატს სომხეთზე გადასცემენ ჰოლანდიას, თუ მანდატზე ამერიკამ უარი განაცხადა.

ბათუმი

— ბათუმის ქალაქის გამგეობა ოლქის სამხედრო გუბერნატორის მიერ 1920 წლის 9 იანვარს გამოცხადებულ განკარგულების დამატებათ აუწყებს ბათუმის მცხოვრებთ ამონაწერს ქალაქის საბჭოს ხმოსანთა საარჩევნო დებულებიდან:

მუხლი 4.

წინასწარი მუშაობისათვის ხმოსნების ასარჩევათ დანიშნულია შემდეგი ვადები:

ა) ამომრჩეველთა მიერ საარჩევნო სიების გადათვალიერება, განცხადების მიცემა იმათ მიერ, ვინც სიაში გამოტოვებულია და განხილვა გამგეობის მიერ საჩივრებისა მოხდება 3-დან 18 თებერვლამდე 1920 წ.

ბ) განსაჩივრება გამგეობის გადაწყვეტილებისა განსაკუთრებულ კომისიაში იმ პირთა მიერ, ვისაც გამგეობამ უარი უთხრა სიაში შეტანაზე და განხილვა ასეთ საჩივრებისა მოხდება 6-დან 19 თებერვლამდე.

გ) საარჩევნო სიები საბოლოოთ გამოცხადდება 20 თებერვალს.

დ) სხვადასხვა ჯგუფების მიერ ასარჩევ ხმოსანთა კანდიდატების სიების წარდგენა მოხდება 19-დან 21 თებერვლამდე.

ე) საკანდიდატო სიების გამოქვეყნება ქალაქის გამგეობის მიერ 22—23 თებერვალს.

ვ) მიცემა საარჩევნო ბარათებისა, რომლებიც ამომრჩევლებმა უნდა წარუდგინონ კომისიას 29 თებერვალს საარჩევნო დარბაზში შესვლის დროს—20 თებერვლამდე. ბათუმის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები—29 თებერვალს ხმების დათვლა 1 მარტს, არჩევნების შედეგის გამოცხადება 2 მარტს.

14 თებერვალს ხმოსანთა ამომრჩევლების სიაში ჩაწერილი იყო სულ 13477 კაცი. არჩევნები იქნება პროპორციონალური. საბჭო არჩეულ იქნება 1 წლის ვადით.

— 13 თებერვალს მაიორმა ნორმანმა ქალაქის თვითმართველობაში სექციის კრებაზე განაცხადა: ქალაქის საბჭოს უნდა თავმჯდომარეობდეს ქალაქის მოურავი და საბჭოს მდივანი უნდა იყოს არა არჩეული ქალაქის საბჭოს მიერ, არამედ ქალაქის მოურავის მიერ დანიშნული. ამის წინააღმდეგ სიტყვა წარმოსთქვა გიორგი ელიავამ, რომელმაც განაცხადა, რომ მაიორ ნორმანის წინადადება მიუღებელი და დაუშვებელია, ამგვარ მაგალითებს ადგილი არ ჰქონია თვითმპყრობელ ნიკოლოზის დროსაც. ზემო აღნიშნული გარემოების გამო საბჭოს მდივანმა ელიავამ სამსახურიდან განთავისუფლება ითხოვა. მაიორ ნორმანმა განაცხადა, რომ ყველაფერს გუბერნატორს მოახსენებს.

— ამ დღეებში სასურსათო გამგეობამ მიიღო 60 ათასი ფუთი პურის ფქვილი. კიდევ მოელიან 60 ათას ფუთს.

სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილების სხდომაზე 1920 წლის 25 თებერვალს დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

2) საჩივარი ქალ. თფილ. გამგეობის რწმუნებულის ნაფ. ვიქ. გეპშტეინისა თფილისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფ. 1919 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც გაუქმებულია ქ. თფილისის გამგ. 1918 წლის აგვისტოს დადგენილება შესახებ ჯიდეჩინის მაღაზიის რეკვიზიციისა, რომელიც იმყოფება პუშკინის ქუჩა, № 15.

2) საჩივარი ქალ. თფილ. გამგ. რწმუნებულის ნაფ. ვიქ. გეპშტეინისა თფილისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების 1918 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც გაუქმებულია ქალ. თფილისის გამგეობის 1918 წლის 11 მაისის დადგენილების შესახებ თფილისის „კრუჟოკის" ბინის რეკვიზიციისა—ქალთა უმაღლეს კურსების საჭიროებისათვის.

3) საჩივარი ვარვარა ივანოვის რწმუნებულის ნაფ. ვიქ. მზარეულოვისა ტფილისის ოლქის სასამართლოს საადმინ. განყოფ. 1918 წლის—20 ივნისის გადაწყვეტილებაზე, ტფილისის ქალაქის გამგეობის 1918 წლის 9 იანვრის დადგენილებით იძულებითი ბინის რემონტის მოხდენის შესახებ—პლევინსკების და ტერ-პერსეგოვების სახლში.

4) საჩივარი გიგო, ივანე, მიხეილ და პარმენ აბხაიძეებისა ქუთაისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების 1918 წლის 17—18 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ზემო აღნიშნული მომჩივანთა საჩივარი საგუბერნიო სამმართველოს 1918 წ. 13 ივლისის დადგენილებაზე უშედეგოთ არის დატოვებული.

დავით კლდიაშვილის იუბილეს გამო.

დავით კლდიაშვილის იუბილეს გამო რედაქციამ შემდეგი დეპეშა მიიღო:

ქუთაისი. ზედდაბის რაიონის კულტურული საზოგადოების გამგეობა აღფრთოვანებით ეგებება ჩვენი მცხოვანი მწერლის დავით კლდიაშვილის 30 წლის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობას და უსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი ერის საკეთილდღეოთ.

თავმჯდომარე ახვლედიანი.
მდივანი ცაკორიძე.

ქუთაისი. დასავლეთ საქართველოს საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირი ულოცავს მცხოვან ბელეტრისტს 30 წლის იუბილეს. უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი ერის და მწერლობის სამაყოდ.

გამგეობის თავჯდომარე
ნიკო მახაბაშვილი.

ზუგდიდი. თანამოაზრეებთან ერთად ვიზიარებ ქართული მწერლობის დღესასწაული დღის ზეიმს. დავით კლდიაშვილს ვულოცავთ იუბილეს.

ლეო ქიაჩელი.

გურიის ერობაში

სამაზრო ერობის გამგეობა უკვე შეუდგა მდ. რიონის მარცხენა ნაპირის გამაგრებაზე მუშაობას; ამ მიზნით გამგეობამ შეადგინა კომისია ქალ. ლანჩხუთისა და მახლობელ თემების—ნიგვზიანის, შუხუთისა და ნიგოითის წარმომადგენლთაგან, სამაზრო ერობის გამგეობის წევრის ბ-ნი ქავთარაძის თავმჯდომარეობით. გამგეობამ საჭიროდ დაინახა აგრეთვე ამ კომისიაში შეყვანილ იქნეს თავისი წარმომადგენელი სენაკის მაზრის—ნოსირის თემსაც, რომელიც რიონის მარცხენა ნაპირზევე გაშენებული, რის გამოც თხოვნით მიმართა სენაკის ერობას მოახდინოს განკარგულება, რომ ამ თემმა დანიშნოს თავისი წარმომადგენელი ამ კომისიაში. ეს კომისია ხელმძღვანელობას უწევს მთელს მუშაობას, ნაპირის გამაგრებაზე წარმოებულს; კომისიას ბინა აქვს ლანჩხუთში, მისი დადგენილებანი მოდის სისრულეში სამაზრო ერობისა და ქალაქის გამგეობათა სანქციით და საშუალებით. გადაწყვეტილია ზოგი სამუშაოს ნატურალური წესით შესრულება, რაზედაც მახლობელ თემთა მცხოვრებლები თანხმობას აცხადებენ.

— ერობამ ქალ. ოზურგეთში მოაწყო სადურგლო სახელოსნო, რომელშიაც მუშაობა სწარმოებს დღეში 8 საათი, კვირა-უქმეების წინა დღით კი 7 ს. სადურგლოში მზადდება საქსოვი და სხვა მანქანები.

მანვე მოაწყო საკუთარი სამჭედლო.

— ერობის გამგეობა ღებულობს საჭირო ზომებს გზების შესაკეთებლათ, მაგრამ მის ძალ ღონეს აღემატება ამ გზების სასურველათ შეკეთება, რადგან ამისთვის მრავალი მილიონებია საჭირო. ნატანებ-ჩოხატაურის ნატანების ნაწილში ამ გზის ასე დატოვება ყოვლად შეუძლებელია, ამიტომ მთავრობამ უნდა გაიღოს საჭირო თანხა მის შესაკეთებლათ, თორემ ერობა ჯერ-ჯერობით ამას ვერ შესძლებს. ამ გზაზე ნატანებ-ოზურგეთს შუა მუშაობა მის შესაკეთებლათ უკვე სწარმოებს.

— თემების პატარ-პატარა ნაწილებათ დაყოფისკენ მიდრეკილებამ ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერი იჩინა თავი გურიაში. თემების მოწყობისას გურიაში არსებობდა 25 თემი, დღეს კი 28-ზე უკვე ავიდა. მაგრამ მოსალოდნელია ეს რიცხვი ადრე 40 მდე ავიდეს, რადგან ბევრი ადგილებიდანაა სამაზრო ერობაში შეტანილი სოფლების განაჩენები, რომლებიც მოითხოვენ ცალკე თემად გამოყოფას. ჯერ ჯერობით ამას მოითხოვენ სამი ადგილიდან: ს. დიდი-ვანი და შემოსაური მოითხოვენ სურების თემიდან გამოყოფას და ცალკე თემში შეერთებას; სუფსის თემის ს. ზაჯალია და ჯარუყვეთისა ს. ებელაური მოითხოვენ იმავეს და უკანასკნელათ ლეუბზეს თემის სოფლები: გადმა და გამოღმა მელექედური, ბოხვაური და ოზურგეთი და ლიხაურისა—ექვსი მოითხოვენ გამოყოფას და ერთ თემში შეერთებას გამგეობის სამყოფ ადგილით ქალ. ოზურგეთში. სამაზრო ერობის გამგეობამ დიდი-ვანისა და ზაჯალია-ებელაურის საკითხი გადაუგზავნა ადგილობრივ საბჭოებს დასკვნისათვის, დანარჩენი სოფლების გამოყოფა და ცალკე თემში შეერთება პრინციპიალურათ გადაწყდა, საბოლოოთ კი ამ დღეებში გადაწყდება.

ამას წინაზედ ფოთში სპროვიაკასაგან შეძენილი ქარხანა, რომელიც უნდა გადმოეტანილიყო ნატანებში—გურიანთა—ჩოლოქის ტყეების დასამუშავებლათ, დასდგეს გურიის აღმოსავლეთ ნაწილში დიდი ხელ უხლებელი ტყეების დასამუშავებლათ.

გამგეობა მოლაპარაკებას აწარმოებს ფოთელ ხე-ტყის მრეწველ გიორგი ხაზბარიშვილთან, რომელსაც გამგეობას უნდა მიანდოს ხე-ტყის წარმოების საქმის ხელმძღვანელობა.

— ერობის გამგეობამ მიიღო თავის თავზე ყველა ის ხარჯები, რაც გამოიწვია უდროოთ გარდაცვლილ დამფუძნებელი კრების წევრის ს. სურგულაძის ობლების ადგილობრივ სავაჭრო სკოლაში მოთავსებამ.

— ამ დღეებში მაზრის მილიციამ დაიჭირა საზღვარზე ბათუმის ოლქში მიმავალი 460 თავისაგან შემდგარი თხის ჯოგი, კუთვნილი ვინმე პაპავებისა. მეჯოგეებს აღმოაჩნდა გურიის ტყის საქმეთა გამგის ქორძაისაგან მიცემული ნებართვა, რომლის ძალით მათ ნება ეძლეოდათ მოერეკათ ზუგდიდის მაზრიდან და ეძოვებინათ აქ სატყეო აგარაკში სახელდობრ „ჰყანდარტაში" 20 სული თხა. მეჯოგეებმა კი მოერეკათ 460 სული, რომელთაგან 800 ვაცია, რამდენიმე ხანს აქ მდგარა ეს ჯოგი, მაგრამ არავის სატყეო უწყების მოხელეთაგანს არ აუკრძალავს მისთვის ეს, მეჯოგეებს როცა დრო უხელთებიათ, უცდიათ საზღვარზე გადაპარება, მაგრამ ის მილიციას დაუჭერია. აღნიშნული სატყეო აგარაკი ზედ ბათუმის ოლქის საზღვარზეა მიდებული და, ცხადია, როცა ზუგდიდის მცხოვრებნი აქ 20 სულის თხის ძოვების ნებართვას იღებდენ, განზრახვა ქონდათ ზედ მეტი მოერეკათ და ხელსაყრელ პირობებში საზღვარზე გადაპარულიყო. ეს უნდა სცოდნოდა ბ-ნ ტყის საქმეთა გამგეს.

პროფესიონალურ კავშირებში

სურსათზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირში.

9 თებერვალს შესდგა სურსათზე მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა. განხილულ იქნა საკითხები: 1) რკ. გზის ფურნის შესახებ; 2) ჩაიზე მომუშავეთა ხელშეკრულება; 3) კონიაკის ქარხნის „ოქროს ვაზის" ლიკვიდაცია; 4) მირზოევის ღვინის სარდაფის ლიკვიდაცია; 5) ხორცის მჭრელ მუშების ორგანიზაცია; 6) კანდიტრებში მომუშავე მუშათა შესახებ და 7) პრეზიდიუმისა და გამგეობის სხდომების დანიშვნის დრო.

რკინის გზის პუნქტში არტელის დაარსების შესახებ ამხ. მდივნის მოხსენების შემდეგ პრეზიდიუმმა მიიღო ამხ. ხერხეულიძის წინადადება: არტელს აქვს ორგვარი ხასიათი: 1) შრომის და 2) არტელი მოგებითი. პრეზიდიუმი ვალდებულია მოელაპარაკოს რკინის გზის ადმინისტრაციას არტელის პირველ სისტემის (შრომის) შემოღების შესახებ რომლის საშუალებით მუშებს მიეცემათ დასამუშავებლათ აუცილებელი ნედლი მასალა, ინვენტარი და სხვა საჭირო საგნები, სადაც მუშაობა იქნება იმ წესით, როგორც ეს სისტემით არის მიღებული ნარდ მუშაობის შესრულების დროს. რკინის გზის ადმინისტრაციასთან მოსალაპარაკებლათ არჩეულ იქნა 3 ამხანაგი.

ჩაიზე მომუშავეთა ხელშეკრულების პროექტი პრეზიდიუმმა შეუსაბამოთ სცნო დღევანდელ პირობებში. მისი საბოლოო განხილვა გადაიდო შემდეგ სხდომისათვის, რომელზედაც, მდივანს დაევალა, მოწვეულ იქნას ხსენებული მუშების წარმომადგენლნი.

კონიაკის ქარხანა, „ოქროს ვერძში", მუშებსა და მეპატრონეთ შორის მომხდარი კონფლიქტი სხდომამ გადასცა საკონფლიქტო კომისიას.

მირზოევის ღვინის საწყობის ლიკვიდაციის საქმე მეღვინეთა კავშირის წინადადებით მოიხსნა, ვინაიდან ხსენებული საქმე ქალაქის ცენტრალურ სალიკვიდაციო კომისიაში ირჩევა. პრეზიდიუმმა ორი წარმომადგენელი გაგზავნა სალიკვიდაციო კომისიაში ამ საქმის გარჩევის დროს მონაწილეობის მისაღებათ.

ამის შემდეგ სხდომამ მოისმინა ამხ. ხერხეულიძის მოხსენება ხორცის მჭრელ მუშების ორგანიზაციის შესახებ. ის აცნობს პრეზიდიუმს, რომ 3 დღის წინეთ მან ავლაბარში მოიწვია დაახლოვებით 100 კაცისაგან შემდგარი ხორცის მჭრელ მუშათა კრება, სადაც საფუძველი ჩაეყარა მათი კავშირისა დაარსებას. მომხსენებელი მოითხოვს მიეცეს მას სანქცია მათზე და მეპატრონეთა წინაშე მოთხოვნილების წაყენების შესახებ. მოისმინა რა მოხსენება პრეზიდიუმმა დაადგინა: გამომუშავებულ იქნას ერთგვარი ინსტრუქცია გამგეობის ინსტრუქტორის თანდასწრებით და შემდეგ გამგეობას წარედგინოს დასამტკიცებლათ. მეპატრონეთან საერთო მოლაპარაკების დროთ, მოთხოვნილების შესახებ, დაინიშნა ხუთშაბათი შუადღის 12 საათი.

მეფუნთუშეთა და საკანდიტროში მომუშავეთა ორგანიზაციის შესახებ მოხსენებას აკეთებს კანდიტრებში მომუშავეთა სექციის თავმჯდომარე ავანოვი. ის აცნობს სხდომას, რომ დაარსდა კავშირი, რომელშიაც შედის მომუშავეთა 2 კატეგორია—ერთი მეპატრონეთა მიერ დაქირავებული და მეორე ეგრეთ წოდებული „კუსტარნიკები", რომლებიც სახლში მუშაობენ, ამზადებენ ტკბილეულობას და შემდეგ საკანდიტროებში გააქვთ გასასყიდათ. მაგრამ ეს უკანასკნელი კიდევ ორ გვარ კატეგორიათ განიყოფება: 1) რომლებიც რამოდენიმე ამხანაგები თითონ მუშაობენ და ნამუშევარს თითონ იყიდიან და 2) რომლებიც მოსამსახურე ყავთ და იმათ ამზადებინებენ გასასყიდ ტკბილეულობას. მოხსენების მოსმენის შემდეგ, პრეზიდიუმმა ახლად დაარსებულ კავშირს მისცა სანქცია და დაავალა სექციის პრეზიდიუმს „კუსტარნიკები", რომლებიც დაქირავებული არა ყავთ ჩაწერილ იქნან კავშირის სრულ უფლებიან წევრებათ, გადაიდოს მათზე დადგენილი 2 პროცენტიანი გადასახადი და 15 თებერვალს დილის 10 საათზე მოწვეულ იქნას საზოგადო კრება, სადაც მტკიცედ უნდა იქნას დაცული, როგორც გამგეობის გადაწყვეტილება, ისე ახალი ხელშეკრულების დაცვა, დასასრულ პრეზიდიუმმა მოისმინა ამხ. მდივნის მოხსენება საკანდიტროებში მომუშავე „კელნერშების" შესახებ და დაადგინა: ვინაიდან კავშირების ორგანიზაციის ახალი პრინციპი ითვლის მუშების შეერთებას წარმოების მიხედვით, ამიტომ საკანდიტროში მომუშავე „კელნერშები" და სხვა პროფესიის მუშები ჩაწერილ უნდა იქნან მუშათა სექციაში.

დადგენილ იქნა მოხდეს პრეზიდიუმის სხდომა ორშაბათობით და ოთხშაბათობით ნაშუადღევს 5 საათზე; გამგეობის კრებები ორჯერ ორშაბათობით საღამოს 6 საათზე.

კოოპერატიული სახალხო სასტუმრო და იაფ ფასიანი ბინები

მრავალ საჭირბოროტო კითხვებთან ერთად ბინის საკითხმა მეტად მწვავე ხასიათი მიიღო და ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობა დიდ გაჭირვებაში ჩააგდო. მუშა და დაბალი მოსამსახურე ბინის სიმცირისა და ძვირფასობის გამო, მთელი თავის შემოსავლის [illegible] მეტს, სახლის ქირაზე [illegible] მისი საარსებო მინიმუმი ყოველ დღე დაბლა ეცემა. დღეს ბინის ნაკლებობა ისეთივე საგრძნობი მოვლენაა, როგორიცაა პურისა და საზოგადოთ სხვა აუცილებელი საგნების სიმცირე.

კოოპერაცია, როგორც ახალი ფორმა მშრომელთა დამოუკიდებელ და ნებაყოფლობითი შეკავშირებისა, რომელიც მუშათა სოციალურ და ეკონომიურ ცხოვრების გაუმჯობესებას ცდილობს—ბინების აბსოლიუტურ სიმცირეს და მის წარმოშობილ ხიფათს უსათუოდ უნდა აქცევდეს სათანადო ყურადღებას და კოოპერატიულ სახალხო სასტუმროსა და იაფ ფასიან ბინების აშენებაში ევროპას უნდა მიბაძოს. იტალიის ერთ-ერთ ქალ. მილანში არსებობს კოოპერატიული საზოგადოება „სახალხო სასტუმრო", რომელიც დაარსებულია 1899 წ. ორი წლის შემდეგ დღიდან დაარსებისა ის გადააკეთეს ექვს სართულიან შენობათ, რომელშიაც—542 ოთახია. ეს ოთახები ეძლევა ქირით მუშა და დაბალ მოსამსახურეებს ძლიერ შეღავათიან ფასებში. ამ ექვსსართულიან შენობაში მოწყობილია საუცხოვო მდიდარი სამკითხველო, სასადილო, აბანო, სადალაქო და სხვა. ადმინისტრაცია ამ საზოგადოებისა მთავარ ყურადღებას აქცევს საცხოვრებელ ოთახების სისუფთავესა და მოვლას. ბიბლიოთეკა მოთავსებულია მშვენიერად მორთულ ოთახში, სადაც მრავალი [illegible] ხელოვნები იკრიბიან თავს და [illegible] საზრდოობენ. იტალიაში არის სხვა ბევრი იაფ ფასიანი კოოპერატიული საცხოვრებელი სახლები, რომლების ჩამოთვლას ჩვენ აქ არ შევუდგებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ ასეთი ტიპის იაფ ფასიან ბინების აშენებას რომ ჩვენი კოოპერატივები ამ თავიდანვე შეუდგნენ, ძლიერ სასურველი იქნებოდა და ამით დამქირავებლებსაც გამოიხსნიდნენ გაბატონებულ სახლის პატრონების ხელში მყოფ და [illegible] დარჩენილ [illegible].

თედ. ხუხუნაიშვილი.

ნიკო მანჯგალაძე

ქობულეთის ქართველობამ მოულოდნელათ დაკარგა ერთგული ამხანაგი ნიკო.

ეს ძვირფასი ამხანაგი ნიკო [illegible] თავის სამშობლოს ბედნიერებისათვის, მის იდეალებს, რომლისთვისაც მან [illegible] თავისი სიცოცხლის დღენი [illegible] ციხეში, ტუსაღობაში და [illegible] ხალხის [illegible]. მან მხოლოდ ცოტა ხნით მოასწრო, დამტკბარიყო თავის სამშობლოს დამოუკიდებლობის ადიდებით.

ამხ. ნიკო 1905 წელში წითელი რაზმის და მუშათა პარტიის ორგანიზაციების სულის ჩამდგმელთა [illegible]. ძვირფასო ნიკო! დაუვიწყარი შენი ხსოვნა, შენი თანამოაზრე ამხანაგებისთვის დაუვიწყარი იქნება ის შენი დღენი, რომელსაც შენ საკუთარი ოჯახის [illegible] საზოგადო საქმეს [illegible]. ნიკო მოკვდა, მაგრამ მისი ხსოვნა [illegible] დარჩება მის ამხანაგებში.

გ. ნიკოლაიშვილი.

მისა კვერნაძის ხსოვნას

6 თებერვალს ერთი წელიწადი შესრულდა რაც მოწამეობრივით გარდაიცვალა ძვირფასი ამხანაგი, [illegible] მუშათა კლასის [illegible] მისა კვერნაძე. არა ერთხელ განიცადა მისმა ცემა, ტუსაღობა, ციხე, [illegible], თვითმპყრობელობის [illegible]. მისი შრომა [illegible] ამხანაგებთან და [illegible] ერთ ერთ [illegible] ორგანიზატორთა [illegible] მუშათა ორგანიზაციაში.

საუკუნო იქნება მისი ხსოვნა ამხანაგებში.

ამხანაგების [illegible] ადლუკაშვილი.

ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტმა მოქმედება დაიწყო 1 იანვრიდან. ლექციები იკითხებოდა უმთავრესად ქართულ ენაზე, მსმენელების რიცხვი თითოეულ ლექციის წაკითხვის დროს უდრიდა 50 კაცს თითოეულ სექციისას.

ლექციებს კითხულობენ [illegible], მოწვეულნი იყვნენ შემდეგი ლექტორები: ექ. ტურნაიშვილი—ჰიგიენა, „ჩვენი ქვეყნის [illegible]",—[illegible], სერგო ქორქელიანი,—პოლიტიკური ეკონომია.

შემოდგომიდან ლექციები წაიკითხეს შემდეგმა ლექტორებმა: ს. თოფურიშვილმა,—ეკონომიური საკითხები. ალ. წერეთელი—საფრანგეთის რევოლიუცია. გ. ნათაძე პირველ-ყოფილი კულტურა, შ. არამიშვილი—[illegible]. დ. ახვლედიანი—საფრანგეთის რევოლიუცია, ანთაძე—საქართველოს ისტორია.

პირველი დეკემბრიდან. მ. შალამბერიძე—ქიმია, ს. დოლიძე,—საქართველოს ისტორია, სერგო ქურქულიანი,—პოლიტიკური ეკონომია,—ილია ნაკაშიძე—შესანიშნავ ადამიანთა ცხოვრება, ს. მესხი,—სამშობლოს აღწერა, ქ. რაჭველიშვილი,—სოციალური მოძრაობა ძველ რომში. ლექციები იკითხებოდა სისტემატიურათ. პირველ იანვრიდან 31 დეკემბრამდის, წაკითხულ იქნა სულ 47 ლექცია. სომხურ ენაზე წაკითხულ იქნა ოთხი ლექცია; სამწუხაროდ, ჯერ ჯერობით ვერ მოეწყო სომხური ლექციების კითხვა. ოთხი ლექცია, რომელიც წაკითხულ იქნა ამხ. აზატიანის მიერ, შეეხებოდა შემდეგ თემას: მუშათა მოძრაობა დასავლეთ ევროპაში. მსმენელთა რიცხვი უდრიდა 40—50 კაცს.

ლექციების მსვლელობას ხელს უშლიდა სახელმძღვანელოების უქონლობა, მაგ. რუქა, დაფები და სხვა. საერთოდ, მატერიალური მხარე არ არის უზრუნველყოფილი. რომ ეს მხარე ოდნავ მაინც შესწორებულიყო, ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობამ თავის ერთ-ერთ სხდომაზე გადასწყვიტა მუშათა კლუბის ბუფეტიდან შემოსული თანხა სავსებით გადასცემოდა უნივერსიტეტის საჭიროებას, მაგრამ ეს დახმარება წვეთია ზღვაში; უნივერსიტეტს აქვს მრავალი საჭიროებანი, რომლის დაფარვას უნდება მეტი თანხა, ვინემ ბუფეტიდან შემოსული ფული.

მუშათა სექციის წარმომადგენელი
ოლიმპიადა ბაქრაძე

ს.-დ. პარტიაში

გორი. 1 თებერვალს, დღის 2 საათზე, შესდგა ს. ს. დ. მ. პ. გორის მაზრის კომიტეტის სხდომა. კრებას დაესწრენ წარმომადგენლები გორიდან, ხაშურიდან, ბორჯომიდან, ცხინვალიდან, სურამიდან, მეჯვრისხევიდან, გომიდან და ახალქალაქიდან. არ გამოცხადდნენ ქარელიდან და ქვემო ჭალიდან. სხდომას თავმჯდომარეობდა ნ. იმნაიშვილი და მდივნობდა ი. რუხაძე. განსარჩევი საკითხები იყო: 1) მოხსენება ცენტრალურ კომიტეტის პასუხისმგებელ პროპაგანდისტ ა. ქვათაძისა. მაზრაში პარტიული მუშაობის შესახებ. 2) ს. ს. დ. მ. პ. გორის მაზრის ორგანიზაციის ოსური სექციის წარმომადგენელ ამხ. გ. გაგლოევის მოხსენება. 3) მაზრისთვის მეორე პროპაგანდისტის გამონახვა. 4) სამაზრო პარტიული ყრილობა 5) სამაზრო ერობის გამგეობიდან გაწვეულ ამხანაგების სამაგიეროთა დასახელება. 6) მდივნის არჩევა. 7) ლაშქარაშვილის შესახებ ცეკას წარმომადგენლის განცხადება და სხვა წვრილმანი საკითხები.

პირველ საკითხზე ვრცელ მოხსენებას აკეთებს ამხ. ა. ქვათაძე.

მოხსენებამ ყველა დააკმაყოფილა, ვინაიდან გადაუშალა მთელი მაზრის პარტიული ცხოვრების სურათი და ადგილობრივ ორგანიზაციებიდან რისიმე დამატება არავინ არ სცნო საჭიროთ, გარდა ამხ. გ. გაგლოევისა, რომელმაც მხოლოდ ოსური სექციის წარსული მუშაობა გააცნო სხდომას და დაბოლოებით შემდეგი სთქვა: სასოფლო კომისიამ დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს გაგზავნა ჩვენი ოსურ მხარეში რამდენიმე პროპაგანდისტი და მიუხედავად იმისა, რომ ესერ-ნაციონალისტ-ბოლშევიკთა მომწამვლელ პროპაგანდა-აგიტაციისა და ბოიკოტისა, ოსის გლეხობამ მაინც მიიღო მონაწილეობა, როგორც დამფუძნებელ კრების არჩევნებში, ისე სამაზრო ერობის, უმეტეს ნაწილათ იმ სოფლებმა, რომელნიც ბარის სოფლებს უახლოვდებიან. შემდეგ ამხ. გაგლოევი მიუთითებს უკანასკნელ ს. ს. დ. მ. პ ოსურ სექციის ყრილობის მუშაობას და იმ დადებით შედეგებზე, რაც მას მოყვა, აღნიშნავს ნაციონალურ საბჭოს გადახალისებას. თუ წინათ ეროვნულ საბჭოს ჩვენ თავს ვესხმოდით და ესერ-ნაციონალისტები იცავდნენ, ეხლა, პირიქით, ისინი ცდილობენ ახლა ოსურ ეროვნულ საბჭოს სახელის გატეხას და ჩვენ გვიხდება დაცვა. ბოლოს ამბობს, რომ იქ სულაც არ არის საჭირო უთუოთ ოსი პროპაგანდისტის გაგზავნა და უმჯობესია პროპაგანდისტათ გაიგზავნოს ს. ს. დ. პარტიის რწმუნებული.

მეორე პროპაგანდისტის მოწვევის შესახებ გამოთქვა საერთო აზრი, რომ გორის მაზრა ძალზე დიდია და ერთი პროპაგანდისტი, რა როგ ყოჩაღი არ იყოს, მაინც ვერ გაწვდება. კომიტეტმა დაადგინა: მეორე პროპაგანდისტათ მოიწვიოს ამხ. ანტონ ბიბილოვი და დაევალა ხაშურელ ამხანაგს, რომ ის გაანთავისუფლონ სხვა ყოველგვარ მოვალეობისაგან; ამასთანავე კრებამ ამხ. ქვათაძის წინადადებით დაადგინა, რომ ყველა ოდნავ პასუხის მგებელი ამხანაგები გორის მაზრისა ვალდებულნი არიან მცირეოდენი დრო მაინც მოახმარონ პარტიულ მუშაობას.

პარტიული სამაზრო ყრილობის მოწვევა კრებამ დაუკავშირა რესპუბლიკის პარტიულ ყრილობის მოწვევას, თუ ეს უკანასკნელი ახლო მომავალში იქნება მოწვეული. და თუ ბევრს დაიგვიანებს, მაშინ კი,—მაზრაში რეორგანიზაცია მოთავდება. შემდეგ გაკეთდა მოხსენება. სამაზრო ერობის გამგეობიდან ამხანაგების გაწვევის შესახებ სხდომამ მწუხარებით მოისმინა ისეთ გამოცდილი ამხანაგის გაწვევა, როგორიც არიან გამგეობის თავმჯდომარე მ. ახლაძე და ადმინისტრაციის განყოფილების გამგე ვ. ქარცივაძე და რომელთაც მართალია, უფრო დიდი საქმე დაავალეს, მაგრამ იმ პოსტებიდან მათი მოხსნა გორის მაზრისათვის დიდი დანაკლისია. შემდეგ დასახელებულ იქნა შესაფერი კანდიდატები.

მდივნათ სამაზრო კომიტეტისა არჩეულ იქნა ი. რუხაძე, რომელსაც მიეცა უფლება თავისი პასუხისმგებლობით მოიწვიოს რომელიმე ახალგაზრდა მარქსისტი და ის ჯილდო, რომელიც კომიტეტს გადადებული აქვს მდივნისთვის,—მისცეს მას, რაკი თითონ უზრუნველყოფილია ერობაში ჯამაგირით მუშაობის გამო.

ლაშქარაშვილის შესახებ ამხ. ნ. იმნაიშვილის აზრით ცეკას მივაწოდოთ სწორი ინფორმაცია და მთელი მასალა რაც კი მის შესახებ მოგვეპოვებათ. ამ აზრს ერთხმად იღებს. დაბოლოს კრებამ გაარჩია წვრილმანი საკითხები; სხვათა შორის მოისმინა ამხ. ბიბილოვს განცხადება, რომელიც ლაპარაკობდა ხაშურის ორგანიზაციის დავალებით. განცხადება შეეხებოდა სამაზრო ერობის გამგეობას წევრს ამხ. დ. მელიქაძის დათმობას ხაშურის ქალაქის თავათ; კრებამ ამაზე კატეგორიული უარით უპასუხა.

ილიკო.

მუშათა შორის

რკინის გზის სტამბა-ლიტოგრაფიის მუშების ცხოვრებიდან.

მუშების მატერიალური მდგომარეობა ჯერჯერობით რომ გაუმჯობესებული არ არის საერთო მდგომარეობის მოუწყობლობის გამო, ყველასათვის აშკარაა. მაგრამ ასეთ პირობებში, როგორშიაც არიან სტამბის მუშები, აუტანელია. ნახევარი მათგანი, იმის გარდა, რომ ავათმყოფობს, შიმშილს განიცდის და ის ჯამაგირები, რაც სხვა სტამბებში აქვთ, მათ ნახევარსაც ვერ აღწევს.

მართალია, შედარებით კერძო სტამბის მუშებთან აქვთ დაკლებულ ფასებში ზოგიერთი საგნები, მაგრამ ისე ცოტას იღებენ, რომ იძულებული არიან დანარჩენი ბაზარზე შეიძინონ. დანარჩენს, როგორიც არის შეშა, დღესაც არ მიუღიათ მიუხედავად იმისა, რომ ზამთარი გადის. ყოველ დღე ამით საზრუნავს საგანს შეადგენს ავანსათ ფულის მიღება და „იოლათ წასვლა". ეს მოვლენა კი, როგორც წარმოებისათვის, აგრეთვე თვით მუშებისთვის არ არის საჭირო. ამას უნდა მიექცეს ყურადღება.

ავანსი უნდა ეძლეოდეს უკიდურეს შემთხვევაში. აქვე არ შეიძლება არ მიექცეს ყურადღება ერთ გარემოებას, რომელიც უნდა მიეწეროს წინანდელ ადმინისტრაციას და თვით მუშების დაუდევრობას. ეს არის ის, რომ რკ. გზ. საპენსიო კასაში არ შედიან წევრებათ, რაც დიდ საზარალოთ უნდა ჩაითვალოს თვით მუშებისთვის. მაგალითისათვის შორს არ გვინდა წასვლა: რამდენიმე ხნის წინათ გარდაიცვალა ვინმე ლიტოგრაფიის მუშა მედვედევი 20 წ. რკინის გზაზე ნამუშევარი, და შემოტანილი თხოვნა, რომ მიეცეს მას დახმარება, სამწუხაროდ, რადგანაც ის არ ყოფილა საპენსიო კასის წევრი, გარდა დამარხვაზედ დახმარებისა, არ მიეცემა. რომ ამ გვარ მოვლენას არ ჰქონდეს ადგილი, საჭიროა ადგილობრივ მუშების მდგომარეობა შეეთანხმებოდეს ყოველ ნაირათ საერთოთ რკ. გზ. არსებულ კანონებს.

შემდეგ კიდევ არა სასურველ მოვლენას აქვს ადგილი. აქაური მუშები როგორც რკ. გზ. კავშირის სასარგებლოთ, კულტურულ კომისიისთვის და სხ. იხდიან დაკანონებულ პროც. ამავე დროს იხდიან ბეჭდვითი კავშირის სასარგებლოთ განსაზღვრულ გადასახადს, ეს ორნაირი ხარჯი ისედაც გაღატაკებულ მუშების ჯიბეს ემჩნევა. ხშირია მუშებში ამის შესახებ ჩივილი. ამის გადაწყვეტა საჭიროა და ცხადია, უნდა გადაწყდეს იმ ფარგლებში, როგორშიაც არიან რკ. გზ. მუშა მოსამსახურენი, ვინაიდან ყოველ მხრივ რკ. გზ. სტამბის მუშები გადაჯაჭვულნი არიან რკ. გზასთან და მათი თუნდაც ერთი დღის გაფიცვა, მოუტანს მათ ზარალს.

ყველა ამისათვის საჭიროა ამ მუშების ადგილობრივი სექცია, მოიწვიოს კრება ცენტრის თანდასწრებით, ზემო ჩამოთვლილ საჭირ-ბოროტო საკითხების, სასწრაფოდ გადასაწყვეტად.

„ობერი".

——

„სახ. საქმის" № 752 მოთავსებულია შინ-განის წერილი თფ. სამხედრო ტექნიკურ სექციის ნებით დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეთა 8 თებერვლის კრებაზე გამოტანილ რეზოლუციის შესახებ. მართალია, კრებაზე აღნიშნავდენ მუშა-მოსამსახურენი თავიანთ უმწეო მდგომარეობას, მაგრამ იქ არ ჰქონდა ადგილი პარტიულ დაფასებებს, როგორც ამას შინ-განი აქსოვს თავისი პარტიულ ორგანოში. ის სწერს, თითქოს მუშებს ეთქვათ—მენშევიკებმა დღემდის ვერაფერი მოგვცესო. მაგრამ, აბა რატომ არ უნდა ისარგებლოს შინ-განმა შემთხვევით... ისიც სარგებლობს და ქვანტს უდებს მენშევიკურ პარტიას. ვითომ იმ დღე კრებაზე გადაწყვეტილიყოს ნებით მენშევიკებმა არაფერი მოგვცესო. არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა. კარგი და პატიოსანი იქნებოდა, რომ ავტორს თავის წერილში არ ჩაექსოვა დემაგოგიური სიტყვები. იქ სოციალ ფედერალისტების მხრით იყო სულ ორი კაცი. ჩემის აზრით თქვენ არ გქონდა იმის უფლება გეწერათ ის, რაც კრებას არ დაუდგენია. მაგრამ ასეთი დემაგოგობა თქვენის მხრით პირველი ხომ არ არის. ამით ის მინდა გითხრათ, რომ გაკეთების მაგიერ ბევრს წახდენთ.

მათე გოგუაძე.

——

ფოთი. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ ამ მოკლე ხანში აპირობენ ყრილობის მოწვევას ფოთის შავ ზღვის განაპირა და ლანჩხუთის ქარხნების მწარმოებლებთა ერთობის წარმომადგენლის თანდასწრებით. მიზანი ამ ყრილობისა არის მთავრობასთან შეკავშირებულათ ერთად აწარმოვონ ხეტყის დამუშავების საქმე. და რაც შეიძლება დღევანდელ პირობებში წარმოება ჩააყენონ ნორმალურ კალაპოტში. ხსენებული ყრილობა შესდგება ფოთში, რადგანაც ეს არის ცენტრი. იმედია ამ ყრილობაზე მიიღებს მონაწილეობას ფოთის ქალაქის თვითმართველობა და გაუწევს სათანადო დახმარებას როგორც დაინტერესებული ამ საქმეში. თუ ეს საქმე მოგვარდა, მუშაობის საქმე ცოტათი გაუმჯობესდება და აღარ ექნება მუშებს ყოველ დღე საძებარი სამუშევარი.

ხით ხაფთახი.

პროვინცია

დედოფლის წყარო (სიღნაღის მაზრა). დაბა დედოფლის წყარო დაშორებულია სამაზრო ქალაქიდან და სხვა მეზობელ სოფლებიდან 35—40 ვერსის მანძილზე და ეს არის მიზეზი, რომ მცხოვრებთ არ ძალუძთ სადღისო ამბავი თუ იმ ამბის შეტყობა, შემთხვევით თუ გაიგებთ რაიმეს ვინმე მოსულებისაგან.

დედოფლის წყაროზედ მცხოვრებთა უმეტესობა რუსობაა.

აქვე ცხოვრობენ ქართველებიც 100 კომლამდე.

დედოფლის წყაროზედ მცხოვრებლები, ნამეტნავად ქართველები, ძლიერ ჩამორჩენილი არიან კულტურულათ. არ არსებობს სამკითხველო, სადაც დაინტერესებულ პირთ შეეძლება მიეცემოდათ წაეკითხათ გაზეთები და ქვეყნის ვითარება შეეტყოთ. ხსენებულ დაბაში არ მოიპოვებიან ისეთი პირები, რომელთაც შეეძლოთ ხალხს აეხსნათ და გაეცნონ საქართველოს მდგომარეობა, ჩვენი მთავრობის მოღვაწეობა და სხვა.

ადგილობრივმა მცხოვრებმა, ა. გ. სარაულიძემ, ილო მატაბელოვმა და ქ. სალხინის მცხოვრებმა ნიკო დარჩიაშვილმა და ნიკა ნახუცრიშვილმა განიზრახეს დედოფლის წყაროზედ სამკითხველოს დაარსება.

მათ სამკითხველოს დასაარსებლად შეაგროვეს ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან, (ქართველებისგან) ფული.

ფულის მოგროვება მოხდა შემდეგ ნაირათ. წარსულ ქრისტეშობისთვის 25-ში, რომელ რიცხვის წინა ღამეს, ჩვეულებად გვაქვს სოფლებს „ალილოს" თქმა და მილოცვა, ამ ზემოხსენებულ პირთ ჩამოიარეს ყველა ქართველის ოჯახები და შეაგროვეს მათგან წვლილი, რაიც მცხოვრებთ სიხარულით [illegible].

სარაულიძე, მეორე მესამე დღესვე გახარებული გაემგზავრა თფილისში გაზეთების დასაკვეთად სამკითხველოსთვის, რაიც აღსრულებაში მოიყვანა კიდეც. დაკვეთილ იქნა შემდეგი გაზეთები: „ერთობა", „სახალხო საქმე", „საქართველო", „ეშმაკის მათრახი" და „ბორბა", რომელ გაზეთებსაც ღებულობს სარაულიძე დღიდან დაკვეთისა, მხოლოდ სამწუხაროა ის გარემოება, რომ მიღებული გაზეთები დაუხსნელად და წაუკითხავად აწყვია სარაულიძის ოთახში, გარდა იმ გაზეთისა, რასაც თვით სარაულიძე, ან მის სახლში მყოფნი წაიკითხავენ. სამკითხველოსთვის ოთახი არ არის და თვით გამგეობამ, რომელსაც მიმართავს ოთახისთვის, ვერ გამონახა საქმეთ უნარი, რომ აღმოჩენათ ერთი პატარა ოთახი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა სამკითხველოს მოთავსება. იმედია ბ-ნი სარაულიძე როგორც ამ საქმის მოთავე და ამ სასურველ საქმის განმახორციელებელი თავისებურად დატრიალდება, და აღმოაჩენს სადმე სამკითხველოსთვის პაწაწა ოთახს, სადაც მსურველთ შეეძლოთ თავისუფლად მისვლა და აკუარგიანობის გაგება გაზეთების საშუალებით, თორემ ამდენის გაზეთების წაკითხვას მარტო თვითონ ვერ მოასწრებს, რადგან თავის საოჯახო საქმეების გამო, იმდენი დროც არ ექნება და გაუხსნელ გაზეთებს ობი მოეკიდება და სასურველი მიზანიც უნაყოფოდ დარჩება.

ვ. ძია.

——

ჯვარი მდებარეობს ზუგდიდის ჩრდილო-კუთხეში და უჭირავს მდ. ენგურის მარცხენა ნაპირი; მეორე ნაპირზე კი გაშენებულია ს. ჭალა. ეს ორი სოფელი მჭიდროთ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რაიც გამოიხატება მცხოვრებთა შორის ხშირ ურთიერთობაში. ორივე სოფელი ერთნაირად შემკულია ბუნებით: ზამთარ-ზაფხულ მწვანით მოსილი ნაძვნარ-ფიჭვნარი მაღლიდან გადმოყურებს ჯვარის ქალას. აქვე ერთდებიან მდ. ენგური და მაგანა, ორივე მდინარე განთქმულია კალმახით. ჯვარის ზემო ნაწილი ე. წ. ლეშამური, საკუთრივ საავგარაკო ადგილათ არის მიჩნეული, რის გამოც ზაფხულობით ბლომათ იყრის აქ თავს მალიარიით, ან სხვა სნეულებით შეპყრობილი ხალხი. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ აქ აღმოჩენილია ნიმუშები ზოგიერთ მადნებისა, განსაკუთრებით ქვა ნახშირისა, მხოლოდ დამუშავება და გამოკვლევა საჭიროა. შემოდგომის ბოლო რიცხვებში იმართება ჯვარში ყოველ წლობით საჯარო ბაზარი, რაიც რამოდენიმე დღე გრძელდება; აგრეთვე წელიწადში ორჯერ იმართება თემობა, ან ხატობა, ამ დროს ოდიშ-სვანეთ-აფხაზეთიდან აქ ათარებელი ხალხი იკრიბება. ენგურის ხეობების მდიდარ ხე-ტყის ექსპლოატაცია, რომლის წარმოება თავს იდვა ზუგდიდის სამაზრო ერობამ, ათარებელ მუშა მოსამსახურეს იზიდავს და სოფელ ჯვარს განსაკუთრებულ სამრეწველო ქვეყნის სახეს და ხასიათს აძლევს. აღნიშნული გარემოებანი ხდიან ს. ჯვარს, როგორც გეოგრაფიული, ისე კულტურულ და სალებ-მიცემო ცენტრად. ყველა ამისათვის ჯვარელებმა ჯერ ისევ რუსის მთავრობის დროს აღძრეს შუამდგომლობა, რათა ჯვარში დაარსებულიყო სარაიონო დაწესებულება. ამაში მხარს უჭერდნენ ჯვარელებს სვანებიც, ვინაიდან ჯვარი, როგორც სვანეთ-სამეგრელოს საზღვარი, მრავალ-მხრივ დამოკიდებულებაშია სვანეთთან, მაგრამ ეს კანონიერი მოთხოვნილება ბიუროკრატიულ მთავრობის მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული. ამავე დროს იქმნა გაყვანილი ჯვარიდან სვანეთში ბილიკი, მაგრამ ისეთ მაღალ და უადგილო ადგილებს, რომ სარგებლობა ძლიერ ცოტაა.

ახალმა დრომ ზუგდიდის მაზრას არგუნა შვიდი სარაიონო დაწესებულება; ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ერთი მათგანი ჯვარს შეხვდებოდა, რომელიც შემოიერთებდა მეზობელ სოფლებს,—ჭალა, ლია და ფახულანს, რადგანაც ამ სოფლების ცენტრად გამოკვლევის ქარტამ დაადგინა ჯვარი აღიარა; მაგრამ, სამწუხაროთ, ზუგდიდის ერობამ რაღაცა მიზეზით, ხსენებულ თემებს სამარგო მატარებელივით კუდით ს. ქაძუში გამოაბა, რომელიც კარგა დიდი მანძილით არის დაშორებული და არც საერთო აქვს რა აღნიშნულ სოფლებთან. ამ მიზეზით ცენტრად იქნა აღიარებული სოფ. ლია და საადმინისტრაციო დაწესებულებაც აქ იქნა დაარსებული. ლიის ცენტრად აღიარება არავითარის მოსაზრებით არ იყო მიზან-შეწონილი. გარდა იმისა, რომ, როგორც გეოგრაფიულ მდებარეობით, ისე კულტურულად ჯვარს ეკუთვნის პირველობა—და ჭაობიან მდაბლობ ადგილს წარმოადგენს, რის გამოც ციებ ცხელების ბუდეთ ითვლება.

ამას გამო ჯვარელებმა ეს გარემოება სამაზრო ერობის შეცდომათ იცნეს და რომ გამოსწორებულიყო ეს გაუგებრობა ს. ჯვარიდან იქნა არჩეული წარმომადგენლათ ზოსიმე პეტრიაი; ეს უკანასკნელი მოხსენებით შევიდა სამაზრო ერობაში და სხვათა შორის ითხოვა, რომ ამ საქმის გამოსარკვევათ დანიშნათ კომისია, შედგარი როგორც ერობის ხმოსნებისაგან, ისე კერძო პირებისაგანაც *) გასაკვირია ერთი გარემოება: ერობის ხმოსნები ირწმუნებიან, რომ მათი დადგენილების ძალით დაწესებულება უნდა ყოფილიყო ლია და ჯვარის საზღვარზე, სახელდობრ „ობოკელიაში", არ ვიცით რა მიზეზით დატრიალდა საქმე უკუღმა.

ჩვენ გვწამს, რომ ზუგდიდის ერობის ახალი შემადგენლობა გამოასწორებს ძველ შეცდომას.

საერთოთ ერობას მართებს ამისთანა შემთხვევებში მეტად დაფიქრებული და აწონ-დაწონილი მუშაობა. ერთის ხელის დაქნევით ხალხის საქმის გადაწყვეტა შეუწყნარებელია. ჯვარელი.

---

*) მაგრამ, სამწუხაროთ ეს შუამდგომლობა ერობის მიერ უყურადღებოთ იქნა დატოვებული. ვეტ.

წერ. რედაქციის მიმართ

იანვრის პირველ რიცხვებში „ერთობის" ერთ-ერთ ნომერში იყო მოთავსებული წერილი შორაპნიდან ბ. პორფილე მელაძის, სადაც ავტორი ცილსა მწამებს.

ბოროტმოქმედება მოხდა შორაპნის კოოპერატივში იმ დროს, როდესაც მე იქ აღარ ვიმყოფებოდი და კოოპერატივის მაღაზიას განაგებდა ლადო მალდაკელიძე. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ყველაფერი მალდაკელიძის ხელში დაიკარგა, რაც თითონვე აღიარა და თანხმობა განაცხადა დაკარგული საქონლის ღირებულების გადახდაზე იმ შემთხვევაში, თუ ამაზე ოქმი არ იქნებოდა შედგენილი და ოფიციალურ ხასიათს არ მიიღებდა ეს საქმე. ეს ბოროტმოქმედება პირველად აღმოაჩინა თომა ჩხეტიამ, რაიც აღნიშნულია 29 აგვისტოს 1919 წლის ოქმში—(შორაპნის რაიონულ გამგეობის პრეზიდიუმის სხდომისა) საქმის გამოძიების შემდეგ ბ-ნი მალდაკელიძე ჩემი განკარგულებით სამსახურიდან იყო გადაყენებული და ბოლოს კი სასურსათო კომიტეტის მიერ დათხოვილ იქნა სამსახურიდან პასუხისგებაში მიცემით. ბ. მელაძემ კარგად იცოდა, რომ იმის სამსახურიდან დათხოვაში მეც მონაწილეობა მქონდა მიღებული, როგორც ზემოხსენებული კომიტეტის წევრს და ამისათვის, ვინაიდან მე მას მხარს არ ვუჭერდი, საჩივარი შეიტანა ჩემზე რაიონულ გამგეობაში, სადაც ლობე ყორეს ედება და სხვათაშორის წარადგინა ბარათები ჩემგან გაცემულ სურსათზე და ამტკიცებს, რომ იმ ბარათებით ჩემ მიერ არის გაცემული მოსამსახურეებზე ნორმაზე მეტი სურსათი. დიახ, არის გაცემული ნორმაზე მეტი სურსათი. ზოგი ექიმის რეცეპტების მიხედვით და ზოგიც ორი თვის კუთვნილი—ერთად, რადგან მოსამსახურეები თავის დროზე ჯამაგირების მიუღებლობის გამო საშუალებას იყვნენ მოკლებულნი თავის დროზე სურსათი მიეღოთ. მერმე, რაში ხედავს ბ-ნი მელაძე აქ ბოროტმოქმედებას? ნუ თუ იმაში, რომ მოსამსახურეებისთვის ზემოხსენებული მიზეზების გამო ნორმაზე მეტი სურსათი მიმიცია ფასად? ვარწმუნებ ბ. მელაძეს, რომ ამაში კი არ არის ბოროტმოქმედება, არამედ იმაშია, რომ შორაპნის მაღაზიას დააკლდა ბევრი სხვადასხვა საქონელი, რომელიც ებარა და პასუხისმგებელი იყო ბ. მალდაკელიძე და დაიკარგა მის ხელში იმ დროს, როდესაც მე არაფერი არ მეკითხებოდა შორაპნის მაზრაში. ამ საქმეზე არის შედგენილი რამდენიმე ოქმი და გადაცემულია სასამართლოზე, სადაც მართალს და მტყუანს გაარჩევს სასამართლო.

ლადო აბაშიძე.

ცნობები

ქალ. ასტრახანიდან ჩამოსულთა საყურადღებოთ ჯავრისაგან დავრდომილი დედა მიმართავს ყველა იმ პირთ, თუ რაიმე იციან მისი შვილის პროვიზორ გრიგოლ ლეჟავას შესახებ, რომლიდანაც არავითარი ცნობა არ არის აგერ ორი წელია. ცნობის მოწოდება შეიძლება შემდეგი მისამართით: ქალ. ქუთაისი, დადიანის ქ. შესახვევი, საკუთარ სახლში—ანნა ლეჟავას.

განცხადებანი

ექიმი
კ. ზ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულება (სიფილისი „606" და 914" შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. სალ 5—7 საათ. სურამის ქ № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (თ. 546)

ექიმი ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ ნაწლავების: ჭლექის და ნერვულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და სალამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

ელექტრო მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა
ბ. ზ. მეგრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჭლექების ოპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და სალ. 5—8 საათ. მებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.
3230—თ.

ექიმი ა. დ. [illegible]
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—11 და სალამოთი 4—8 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელ. 14—28.
(154—თ.)

ექიმი დ. ა. ხარაძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე სალამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37, ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი
ნ. დ. ცერიაშვილი
იღებს შინაგან, სახებით და ქალთა ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღ. 1—2 ს. და სალ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—13. (119—თ.)

ექიმი ე. მ. მანაბიშვილი
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—12 და სალამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი და კირიჩენის ქუჩ. № 22 (შესავალი კირიჩენის ქუჩიდან) ტელეფონი 10—87.
(114—თ).

ექიმი
ზ. ი. მირიანაშვილი
შინაგანი სნეულებანი, მიღება სალ 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. ანდრეევის ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის აფთიაქის ახლო. (249)

ექიმი დ. ვ. ჯავახიშვილი.
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავადმყოფთ დილით 8—9 ს-დის და სალამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმ ნავასარდიანისა
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დაარსდ. 1880 წ.
ყოველ დღე კვირის გარდა.
„606" და „914" 11—12 საათ.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ხირურ. და ვენ. ავად. (სიფილისი).
გ. ვ. ამახარობლი —10—12 ს. შინაგ ნერვ. და ბავშვთა ავად. [illegible]
მ. მ. ავეტიხიანი 11—12 ს. ვენ. ავად. (სიფილ.) ხირურგ.
კარაპეტ-ბებურიშვილი—12—1 საათ. (ორშ. ოთხ. და პარასკევი). ქალთა ავად. და ბებიობის ნაწილი.
ე. ა. ბოროვკოვსკაია—12—1 საათ. (სამშ. ხუთშ. და შაბათი).
ტერ ზაქარიანი—12—1 ს. შინაგ. და ბავშვთა.
ღარიბებს დარიგება უფასოდ.
საავადმყოფოს დირექტორი
(180—თ.) ექიმი ნავასარდიანი.

ოზურგეთში
ექიმი აბაშიძე
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და ნაწლავების, ჭლექის ექიმობა „ტუბერკულინით" და „ფოსფაცილით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით. ქ. სიხამაშვილის სახლში. (კუპ. 60)

კერძო სამკურნალო
ექ. დონხინისა
(მუდმივი საწოლებით) მიხ. ქ. № 141
ტელეფ. 5—97
(სამხედრო სასწავლებლის წინ კინოტეატრ „აპოლოს" გვერდით). ყოველგვარი სნეულებიანი ავადმყოფების მიღება სრული პანსიონი. (ცალკე ოთახები)
(თ. 218)

ექიმი ქალი ე. ს. ბებურიშვილი.
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე სალამოს 5—7 საათამდე მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28. (თ. 3065).

ექიმი დ. ა. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს 12—1 ნახ. ს. მისამართი: მადათოვის ქუჩა, № 7, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (ტელეფონი 16—65.) (თ. 3463)

თვალის ექიმი
ზ. მ. ხვედაძე
იღებს ავადმყოფებს დღისით 1—3 საათამდე. იზმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

ექიმი ზ. ა. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914". ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე დილით 9—11 სალამოს 5—8 საათამდე. [illegible] ქუჩა № 33.